პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 207 (9367) | კვირა, 31 აგვისტო, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა მეშახტეების საბრძოლო ამოცანაა ახალ სტალინურ ხუთწლედში 43 პროცენტით გაადიდონ ქვანახშირის მოპოვება.

მეშახტის დღე

დღეს ჩვენი სამშობლოს მეშახტეები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღნიშნავენ თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს — მეშახტის დღეს. ჩვენი ქვეყანა მეშახტის დღეს ზეიმობს საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობისათვის მზადების ისტორიულ დღეებში.

ქვანახშირის მრეწველობის მუშაკები კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთ გადამწყვეტ და პასუხსაგებ უბანზე მუშაობენ. 1946 წლის 9 თებერვალს წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა საბრძოლო ამოცანად დასახა აყვანილ იქნას ქვანახშირის ყოველწლიური ამოღება 500 მილიონ ტონამდე. საბჭოთა მეშახტეები თავდადებით მუშაობენ ამ ამოცანის განხორციელებისათვის და ამით ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

მთელ სახალხო მეურნეობასთან ერთად განუხრელი აღმავლობის გზით მიდის ქვანახშირის მრეწველობა. უკანასკნელი წლების მანძილზე სათბობის მოპოვების ყოველწლიური ზრდა საშუალოდ 24 მილიონ ტონას უდრის. განხორციელდა ქვანახშირის მრეწველობის ხელახალი ტექნიკური შეიარაღება. ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი განუწყვეტლივ ზრუნავენ მეშახტეთა შრომის ყოველმხრივ შემსუბუქებისა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

ახალი დიდი ამოცანებია დასახული ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა წინაშე მეხუთე სტალინურ ხუთწლედში. პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტში მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ განსაზღვრულია სათბობის მოპოვების ზრდა 1955 წელს 1950 წელთან შედარებით დაახლოებით 43 პროცენტით.

„ქვანახშირის მრეწველობაში გათვალისწინებულ იქნას, — ნათქვამია მეხუთე ხუთწლედის დირექტივების პროექტში, — საკოქსე ქვანახშირის ამოღების უფრო სწრაფი ზრდა და ხუთწლედის განმავლობაში ამ ქვანახშირის ამოღება გადიდდეს სულ ცოტა 50 პროცენტით.

გაუმჯობესდეს ქვანახშირის ხარისხი... სისტემატურად გაუმჯობესდეს ქვანახშირის საბადოების დამუშავების მეთოდები. უფრო ფართოდ დაინერგოს უახლესი სამთო მანქანები და მექანიზმები ქვანახშირის მრეწველობის კომპლექსური მექანიზაციისათვის, შემდგომი ტექნიკური ხელახალი შეიარაღებისათვის და შრომის ნაყოფიერების გადიდების უზრუნველსაყოფად".

საბჭოთა მეშახტეები უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანებით მუშაობენ საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის შესახვედრად, დღითიდღე აძლიერებენ ბრძოლას მეხუთე ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით განხორციელებისათვის. ამ დღეებში დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა საბჭოთა საქართველოს ქვანახშირის რაიონებში. ქართველი მეშახტეები პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და ახალ წარმატებებს აღწევენ მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირისათვის ბრძოლაში. ყრილობისათვის მზადების სასიხარულო დღეებში უმაგალითოდ იზრდება მეშახტეთა შრომითი ენთუზიაზმი, ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება მოძმე დონბასისა და საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა შორის.

სოციალისტური შეჯიბრების დიადი ძალა, მეშახტეთა მთელი მისწრაფება ახლა მიმართულია მეხუთე ხუთწლედის მეორე წლის საწარმოო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისაკენ. ამ შესანიშნავი შეჯიბრების პირველ რიგებში მიდის ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სახელოვანი კოლექტივი, რომელმაც სათბობის მოპოვების 8 თვის გეგმა ჯერ კიდევ 15 აგვისტოსათვის შეასრულა. ეს წარმატებანი მოპოვებულია ასობით და ათასობით მეშახტის თავდადებული შრომით. მნიშვნელოვნად გააძლიერეს მუშაობის ტემპი პარტიის XIX ყრილობისათვის მზადების დღეებში ტყიბულელმა მეშახტეებმა.

დადგნენ რა პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე, მეშახტის დღის წინ — 28 აგვისტოს — საქართველოს მეშახტეებმა ვადამდე შეასრულეს ქვანახშირის ამოღების 8 თვის გეგმა. ეს საწარმოო გამარჯვება მოპოვებულია იმის შედეგად, რომ ქვანახშირის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები ახლებურად იწყებენ მუშაობას და აუმჯობესებენ შახტებისადმი ხელმძღვანელობას. შახტებში სულ უფრო ფართოდ ინერგება მოწინავე ტექნიკა და შრომის ორგანიზაციის ახალი მეთოდი — ციკლური გრაფიკი. დიდი მუშაობა ხორციელდება ტყიბულის შახტების გადასაყვანად ქვანახშირის ფენების დამუშავების ჰიდრავლიკური ვსების მეთოდზე.

ამ წარმატებებთან ერთად რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობაში ჯერ კიდევ ბევრია სერიოზული ნაკლოვანებანი და გამოუყენებელი რეზერვები. საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლია ის, რომ მან დღემდე ვერ უზრუნველყო მდგომარეობის გამოსწორება ახალციხის შახტებში, სადაც დიდი ხანია ვერ ასრულებენ ქვანახშირის ამოღების გეგმას.

ბევრი უბანი და შახტი ჯერ კიდევ ვერ ასრულებს საწარმოო დავალებას. ამასთან იმ შახტებშიც, სადაც გეგმა სრულდება, ყველა რეზერვი და საშუალება არ არის გამოვლინებული, მთელი სიმძლავრით ვერ იყენებენ მოწინავე სამთო ტექნიკას, მიღწეული არ არის გეგმის რიტმულად შესრულება.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმის შესრულებას, რომელზეც საგრძნობლად დამოკიდებულია შახტის ხვალინდელი დღე. შემთხვევითი არ არის, რომ ახალციხის შახტსამმართველო სისტემატურად ვერ ასრულებს ქვანახშირის ამოღების გეგმას, რადგან მოსამზადებელ სამუშაოთა 7 თვის გეგმა აქ მხოლოდ 65,9 პროცენტით არის შესრულებული. ამ მხრივ ცუდად მუშაობს ტყიბულქვანახშირის ტრესტიც, სადაც ძირითად სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა 7 თვის გეგმა 84,4 პროცენტით არის შესრულებული.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის განუხრელი ზრდა ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი რესპუბლიკის შახტმშენებლების მუშაობაზე. ამიტომ შახტმშენებლების ამოცანაა გადაჭრით აღმოფხვრან მათს მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, უზრუნველყონ ახალი შახტების დაწესებულ ვადებში აგება და საბინაო მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულება.

ქვანახშირის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მეშახტეთა მძლავრ პოლიტიკურ და საწარმოო აღმავლობას, თვითეულ მეშახტეს დაეხმარონ პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულების ღირსეულად შესრულებაში.

საბჭოთა მეშახტეები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან პარტიის და მთავრობის, პირადად ამხანაგ სტალინის მშობლიური მზრუნველობითა და დახმარებით, ღირსეულ წვლილს შეიტანენ ახალი, მეხუთე ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის დიად ბრძოლაში.

მეშახტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა თბილისში

30 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გაიმართა მეშახტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოს ქვანახშირის კომბინატის, საქართველოს შახტმშენებლობის სამმართველოს, საქართველოს შახტების დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის მუშაკები, დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ლამაზად მორთულ სცენაზე არის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბიუსტი, იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დიდი პორტრეტი.

სცენის ზემოთ ალისფერ ტილოზე ოქროს ასოებით ბრწყინავს სიტყვები: „დიდება დიდ სტალინს!"

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები ა. მგელაძე, ვ. ცხოვრებაშვილი, ი. კოჭლამაზაშვილი, გ. ჯავახიშვილი, ვ. გოგუა, ლ. ცუცქირიძე, ი. კურენკოვი, ი. მაღალაშვილი, გ. ქომეთიანი და სხვები.

სხდომა გახსნა ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ლ. გორგიძემ.

ხანგრძლივი ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

მოხსენება მეშახტის დღის შესახებ გააკეთა საქართველოს ქვანახშირის კომბინატის უფროსმა ამხ. ვ. გოგუამ.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

დიდი აღფრთოვანებით მიღებულ იქნა მისალმება დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხ. ლ. პ. ბერიასადმი. (საქდესი).

შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ბუჯიაშვილი, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ყუჯიაშვილი და სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული თბილისის ოლქში ამხ. ბოძაშვილი იტყობინებიან, რომ ოლქის კოლმეურნეობებმა 30 აგვისტოსათვის ვადამდე 100,1 პროცენტით შეასრულეს 1952 წლის მოსავლის პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა (სიმინდის გამოკლებით), მათ შორის ხორბლისა — 106,4 პროცენტით.

მიმდინარე წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 3.020.920 ფუთით მეტი ხორბალი შარშანდელთან შედარებით.

გრძელდება პურის ჩაბარება მტს-ების მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის წარდგენილი ანგარიშების მიხედვით.

* * *

დუშეთის, საჩხერისა და ზესტაფონის რაიონების კოლმეურნეობებმა შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა (სიმინდის გამოკლებით).

გრძელდება პურის ჩაბარება მტს-ების მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის წარდგენილი ანგარიშების მიხედვით.

ვოლგაზე შენდება ახალი გიგანტი

ორი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება მდინარე ვოლგაზე სტალინგრადის უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და კასპიის ზღვისპირის რაიონების მორწყვისა და წყალუზრუნველყოფის შესახებ. ეს ღირსშესანიშნავი თარიღი დაემთხვა იმ სასიხარულო დღეებს, რომლებსაც განიცდის ჩვენი ქვეყანა, ემზადება რა მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობისათვის.

საბჭოთა ადამიანებმა ლენინ-სტალინის სახელოვანი პარტიისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით მიიღეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული საყრილობო დოკუმენტები, რომლებიც გამოხატავენ კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მოპოვებულ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს, სახავენ პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე ახალ გრანდიოზულ ამოცანებს, ამ ამოცანების განხორციელების ორგანიზაციულ საშუალებებს.

ამჟამად,—ნათქვამია პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტში,—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანები ის არის, რომ ააშენოს კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით, განუწყვეტლივ ამაღლოს საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონე, ზარდოს საზოგადოების წევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით, ყოველმხრივ განამტკიცოს საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან.

დიადი მშენებლობა ვოლგაზე, გმირი ქალაქის—სტალინგრადის კედლებთან—სოციალიზმის ცხოველმყოფელი ძალის, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის შესანიშნავი ილუსტრაციაა.

1950 წელი ისტორიაში შევა, როგორც ვოლგაზე, დონზე, დნეპრსა და ამუ-დარიაზე კომუნიზმის გრანდიოზულ მშენებლობათა დაწყების დიადი თარიღი. ეს მშენებლობანი ახორციელებენ დიდი ლენინის ანდერძს: «კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია».

ორი წელიწადი დიდი ვადა არ არის, მაგრამ რაიონმა, სადაც სტალინგრადის ჰესი შენდება, სახე მნიშვნელოვნად იცვალა: ათობით კვადრატულ კილომეტრზე გადაიჭიმა სამშენებლო მოედანი, ვოლგის იქითა მხარის ველზე უკვე აგებულია სოციალისტური ქალაქის პირველი უბნები, გაყვანილია ათობით კილომეტრი რკინიგზა და საავტომობილო გზები. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. წინ უფრო რთული და გრანდიოზული სამუშაოებია.

სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ მთავრობის ისტორიული დადგენილების მეორე წლისთავს მშენებლები უდიდესი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში ხვდებიან, ასობით ადამიანი დგება სტახანოვურ ვახტზე მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მომავალი გახსნის აღსანიშნავად.

პირველხარისხოვანი საბჭოთა ტექნიკით აღჭურვილი მშენებელთა მრავალათასიანი კოლექტივი ყოველდღიურად გრძნობს პარტიის, მთავრობის, დიდი სტალინის მზრუნველობას, რაც იმის საწინდარია, რომ სტალინგრადის გრანდიოზული ჰესი, სტალინური ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი ნაგებობა ვადაზე აშენდება.

ეიზენჰაუერი სალაშქროდ ემზადება...

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატს რესპუბლიკური პარტიისაგან დუაიტ ეიზენჰაუერს, რომელსაც ამერიკელები მეტსახელად ბიჭის სახელს აიკს ეძახიან, როგორც ჩანს, არაჩვეულებრივი ძალის ფანტაზია აქვს. ვერ ვიტყვით, რომ მისი ფანტაზია მგზნებარე იყოს. ეს უფრო ალვირახსნილი ფანტაზიაა. თუ მის ფანტაზიას ლაქლაქა ენას მივუმატებთ, ყველა მასალა გვექნება „საშინელი" ზღაპრების შესათხზავად. ეიზენჰაუერმა თავისი ნიჭი გამოიჩინა სიტყვაში, რომელიც წარმოთქვა 25 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი ყველაზე რეაქციული ორგანიზაციის—ამერიკული ლეგიონის ეროვნულ ყრილობაზე. ეს ორგანიზაცია წარსულში მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჰიტლერელებთან.

ეიზენჰაუერმა ვრცლად მოხაზა იმ საგარეო პოლიტიკის სურათი, რომელსაც იგი განახორციელებს, პრეზიდენტი თუ გახდა. მან გარკვევით გასაგები გახადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იარაღით უნდა დაუბრუნონ ამერიკის ბატონობას ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილი. ეიზენჰაუერმა ჩამოთვალა ქვეყნები, რომლების დაპყრობაც მას სურს: ჯერ-ერთი, მისი სურვილია საბჭოთა კავშირს ჩამოაშოროს ლატვია, ესტონეთი, ლიტვა და კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობას დაუბრუნოს ისინი. მეორე, მას სურს დაიპყროს პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, ალბანეთი. მესამე, მას სურს თავის კონტროლს დაუქვემდებაროს აღმოსავლეთი გერმანია და აღმოსავლეთი ავსტრია.

მერე და რა საფუძველზე შეჰყავს აიკის ალვირახსნილ წარმოდგენას ყველა ამ ქვეყნის ხალხები ამერიკის იმპერიის შემადგენლობაში?

აიკი ახალ აღმოჩენას აცხადებს:

„ეს ხალხები ჩვენი სისხლი და ხორცი არიან... საზეიმოდ ვაცხადებ თქვენს წინაშე, რომ ამერიკის სინდისი ვერ მოისვენებს მანამდე, სანამ ჩვენი სისხლის, ჩვენი ცხოვრების წესის ეს ხალხები არ დაუბრუნდებიან თავისუფალ ადამიანთა საზოგადოებას...", ე. ი. ეიზენჰაუერისა და მის თანამოაზრეთა საზოგადოებას, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის საზოგადოებას.

ჩვენ ვხედავთ, რომ აიკის ხორცი არაჩვეულებრივად ტევადი ყოფილა: ლატვიელებს, ლიტველებსა და ესტონელებს, პოლონელებსა და ჩეხებს, უნგრელებსა და რუმინელებს, ბულგარელებსა და ალბანელებს, გერმანელებსა და ავსტრიელებს, — ყველას თავის „ღვიძლ ნათესავებად" თვლის ეიზენჰაუერი.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. აიკის ხორცი, თურმე აზიის ხალხებსაც მოიცავს. მის „სიაში" აღნიშნულია „500 მილიონზე მეტი ადამიანთა რეზერვები", რომლებიც ცხოვრობენ ჩინეთში, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში, ინდოჩინეთში და სხვ.

ჰიტლერელი ჯურის რასისტებმა განცვიფრებისაგან პირი უნდა დააღონ. ხომ დიდი მადა ჰქონდათ მათ, მაგრამ მაინც ვერ ბედავდნენ „თავიანთ ხორცად" ჩაეთვალათ მონღოლი, ჩინელი, კორეელი ხალხები.

რა ულობავს გზას ომის გუნებაზე დამდგარ აიკს? იგი ფიქრობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ადვილად ჩაიგდებდნენ ხელში ყველა ამ ქვეყანას, საბჭოთა კავშირი რომ არ იყოს. ამიტომ—ომი საბჭოთა ხალხს! ასეთია ამ მკვეხარას ლაყბობის ლოგიკური დასკვნა.

მაგრამ საბჭოთა კავშირმა განა მარტო ის დააშავა, რომ მშვიდობის სადარაჯოზე დგას და ფხიზლად იცავს თავისი საკუთარი სახელმწიფოს საზღვრებს? არა. აიკს რომ მოვუსმინოთ, თურმე საბჭოთა კავშირს ის ბრალიც მიუძღვის, რომ წარმატებით ავითარებს თავის სახალხო მეურნეობას, რომ საბჭოთა კავშირი ცდილობს „ბოლოს და ბოლოს გადააჭარბოს ამერიკის შეერთებული შტატების საწარმოო ძლიერებას", რომ საბჭოთა ადამიანები „გულმოდგინედ, განუხრელად და მტკიცედ აღწევენ თავიანთ მიზანს".

კიდევ რა ბრალსა სდებს საბჭოთა კავშირს გაბრაზებული აიკი?

იგი ამბობს, თითქოს „საბჭოთა პროპაგანდა" მთელ მსოფლიოში ქმნის სიძულვილს ამერიკის შეერთებული შტატებისადმი.

ამერიკის ფაშისტური პროპაგანდის არქივიდან ამოღებული ეს მტკიცება მხოლოდ ღიმილს თუ გამოიწვევს. ეიზენჰაუერი აშკარად ცდილობს თავისი საკუთარი დანაშაული სხვას გადააბრალოს. ქვემოთ დავინახავთ, ნამდვილად ვინ ქმნის ასეთ სიძულვილს.

რამ გამოიწვია ეიზენჰაუერის ისტერიული სიტყვა? ამ კითხვის პასუხს იგი თვითონვე იძლევა, როცა იწყებს დაუსრულებელ მსჯელობას შიშის შესახებ.

იგი თავის მსმენელებს უხატავს რაღაც „საბჭოთა აგრესიის" მოგონილ ფანტასტიკურ სურათს, აშინებს თავის მსმენელებს, რომ შეერთებულ შტატებს ახლა თითქოს ისეთი დიდი საფრთხე ემუქრებათ, როგორიც მთელი თავიანთი ისტორიის მანძილზე არ ჰქონიათ.

ჩვენ არა გვგონია, რომ ეიზენჰაუერმა უკვე მიაღწია განსვენებული ამერიკელი მინისტრის ფორესტოლის მდგომარეობას, მაგრამ იგი ოსტატურად გვისახავს ფორესტოლს, რომელიც სულით ავადმყოფთა საავადმყოფოს ფანჯრიდან გადახტა.

მაგრამ უოველივე ეს ახალი როდია. ჰიტლერიც სწორედ ასე ეწეოდა სპეკულაციას შიშით. მასაც ჰქონდა სხვა ხალხების „განთავისუფლების" პრეტენზია. მას თავი ახალ ნაპოლეონად მოჰქონდა, მაგრამ ამხანაგ სტალინის სიტყვით ნაპოლეონს ისე ჰგავდა, როგორც კატის კნუტი ჰგავს ლომს.

საინტერესოა, რა შთაბეჭდილება მოახდინა ეიზენჰაუერის სიტყვამ [illegible] სიტყვა განკუთვნილი [illegible] წრეებზე, პარტნიორებზე ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში.

რეაქციულ ფრანგულ გაზეთ „მონდს" არ დაუფარავს თავისი შიში. „გენერალ ეიზენჰაუერის სიტყვამ,—წერს გაზეთი,—დაადასტურა ბევრი ევროპელის შიში... ეს სიტყვა შეშფოთებას იწვევს".

„უცნაური სიტყვაა",—ამბობს ინგლისური გაზეთი „დეილი მირორი". „განა ეს გონივრულია?"—კითხულობს „სკოტსმენი" და უპასუხებს: არა, არ არის გონივრული". „მანჩესტერ გარდიანი" წუხს: ეიზენჰაუერმა, ხედავთ, დაადასტურა მშვიდობის მომხრეთა რწმენა, „რომ დასავლეთის სახელმწიფოები აგრესიული ომისათვის ემზადებიან".

ეიზენჰაუერის გამოსვლის ცოტა ხნის წინათ ამერიკული იმპერიალიზმის ისეთი ერთგული მსახური, როგორიც არის საფრანგეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიდო, აფრთხილებდა ოკეანისგაღმელ მეგობრებს: ენას კბილი დააჭირეთ! იგი წერდა, რომ ამერიკა მეტად „თავშეუკავებელია", რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში უთანხმოებას წარმოშობს „საქვეყნოდ გამოთქმული მავნე შეხედულებანი". ბიდომ განაცხადა, რომ ფრანგებს „პირდაპირ თავი მოაბეზრა ანტირუსული პროპაგანდის მნიშვნელოვანი ნაწილის ზერელე ხასიათმა. მათ მობეზრდათ აგრეთვე რუსული საშიშროების მუდმივი საფრთხობელა". ფრანგებს, ბიდოს სიტყვით, ეშინიათ არა რუსების, არამედ ამერიკელებისა.

ინგლისური გაზეთი „დეილი ექსპრესი" ნიუ-იორკიდან იუწყება, რომ ეიზენჰაუერის ლაყბობამ შეშფოთება გამოიწვია ამერიკელ ამომრჩეველთა შორის.

ხალხებს არა სურთ ომი, და კაპიტალისტური მთავრობები რა ხერხს არ მიმართავენ, რომ თავიდან აიცილონ ახალი ომისათვის მზადების ბრალდება. ეიზენჰაუერი ალვირახსნილი ფანტაზიით არის დაჯილდოებული. მაგრამ ხელები მოკლე აქვს. იგი, რასაკვირველია, ფიქრობს ამერიკის შეერთებული შტატების სატელიტების ხელით იომოს, მაგრამ ერთია იყბედო სისხლსა და ხორცზე და სულ სხვაა საკუთარი ხორცი გაიღო და სისხლი დაღვარო ამერიკელი ბანკირების ინტერესებისათვის.

ოდესღაც რუსი ხალხი მღეროდა ხუმარო სიმღერას ერთ მეტისმეტად აგრესიულ ინგლისელ სტრატეგზე:

ომის აზარტში შესული
სარდალი პალმერსტონი
რუსეთს ამარცხებს რუკაზე
საჩვენებელი თითით.

საჩვენებელი თითი ეიზენჰაუერს მეტად მტკიცე და მრისხანე აქვს. მაგრამ ეფექტი მაინც კომიკური გამოდის. და როცა ეს ამერიკელი სარდალი ზვიადად აცხადებს: „ჩვენ დინჯად და გადაჭრით უნდა ვუთხრათ საბჭოებს...", გვინდა უწინარეს ყოვლისა ვურჩიოთ მას: ცივი წყალი დალიე, აიკ, და გონს მოდი. რა სიდინჯეა ეს? ეს ისტერიული ბაქიობაა.

პრეზიდენტობის კანდიდატი აცხადებს, რომ დაიპყრობს ნახევარ მსოფლიოს, დაიმორჩილებს ასეულ მილიონობით ადამიანს, ხოლო მისმა მეგობარმა, ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატმა ნიქსონმა, პასუხად ჟურნალ „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტის" რედაქციის შეკითხვისა: „ომს კორეაში წარმატება არ აქვს, ხომ ასეა?",—განაცხადა: „არა, სამხედრო თვალსაზრისით... ჩვენ ველარ მოვახვევთ კორეას თავს სამარ გადაწყვეტილებას".

ეიზენჰაუერი კი იკვეხნის, რომ ფრანგთა, ბელგიელთა და სხვათა შეიარაღებული ძალების დახმარებით იგი „სამარ გადაწყვეტილებას" მოახვევს თავს ევროპისა და აზიის თავისუფალ ხალხებს, რომ იგი „სამარ გადაწყვეტილებას" უკარნახებს საბჭოთა ხალხს. წუხნარმა ბელგიელმა ჯარისკაცებმა უკვე ცხადყვეს, რომ ამერიკელ ავანტიურისტებს თავიანთი გიჟური გეგმების განხორციელებაში მათი იმედი არ უნდა ჰქონდეთ. ფრანგულმა გაზეთმა „კომბამ" ბელგიის ამბებს უწოდა „ევროპის პირველი ამბოხება" ამერიკელთა თავმომაბეზრებელი ზეგავლენის წინააღმდეგ.

ეიზენჰაუერი ცრემლმორეული წუწუნებდა, დასავლეთ ევროპაში „ამერიკის შეერთებული შტატებისადმი სიძულვილი" ვრცელდებაო. ეს უდავო ფაქტია. მას მთელი კაპიტალისტური პრესაც კი აღიარებს. ეიზენჰაუერი ამაში ბრალსა სდებს საბჭოთა პროპაგანდას. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ 25 აგვისტოს თვითონ ეიზენჰაუერმა თავისი სიტყვით მეტი გააკეთა ანტიამერიკული პროპაგანდის გასავრცელებლად, ვიდრე შეიძლებოდა საბჭოთა პრესაში ასობით სტატიას გაეკეთებინა თავის განმავლობაში. ეიზენჰაუერმა დაიმსახურა ომის გამჩაღებელი ამერიკელი აგრესორებისადმი სიძულვილის, ზიზღისა და მტრობის ყველაზე ენერგიული პროპაგანდისტის სახელი.

რაც შეეხება ეიზენჰაუერის მუქარას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, საბჭოთა ადამიანებს სასაცილოდ არ ეყოფათ ეს მუქარა, როგორც ერთ დროს სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ ჰიტლერის მუქარა. ამბობენ, რომ მუქარის პოლიტიკა სუსტების იარაღია მშიშარათა წინააღმდეგ. რა გაეწყობა,—გენერალმა ეიზენჰაუერმა ბოსტანში ყვავები აშინოს, თუ ასე მოსწონს დაშინების პოლიტიკა.

(„პრავდა", 29 აგვისტო).

მაგნიტოგორსკის მეტალურგიულმა კომბინატმა შეასრულა რვა თვის გეგმა

მაგნიტოგორსკი, 29 აგვისტო. (საკდესი). დღეს სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის მეტალურგიულმა კომბინატმა მთელი მეტალურგიული ციკლით შეასრულა რვა თვის გეგმა. წლის დამდეგიდან მეტალურგებმა მიიღეს 14 მილიონამდე მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.



სტალინგრადჰიდრომშენი. ვოლგაზე სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სტალინგრადის ჰესის მშენებლობა. წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა წყალსაშვები კაშხალის ქვაბულის ასაგებად. გრუნტის ამოსაღებად აქ დღედაღამ მუშაობს 4 მძლავრი მიწისმწოვი მანქანა. **სურათზე:** მიწისმწოვი მანქანები მუშაობენ კუნძულ პესჩანისთან.

ფოტო ნ. გრანოვსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

პარტიული ცხოვრება

ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით

რუსთავის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე

—მივცეთ სამშობლოს რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი ქართული ფოლადი, დავაჩქაროთ მშენებლობის ტემპი, ღირსეული შრომითი საჩუქრები მივუძღვნათ მშობლიური კომუნისტური პარტიის ყრილობას! — ასეთი ლოზუნგებით გაშალეს ბრძოლა მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქის მშრომელებმა, რომლებიც ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ და გადიდებული შრომითი ვალდებულებანი იკისრეს.

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობისათვის მზადების პერიოდს დაემთხვა რუსთავის მეხუთე საქალაქო პარტიული კონფერენციის მოწვევა. კონფერენციის დელეგატთა შორის არიან ქალაქის წარჩინებული ადამიანები—ჩქაროსანი მეფოლადე შ. კუხალეიშვილი, მემანქანე ქალი ცაცა მიბჩვიანი, მეყალიბე გ. ავალიანი და სხვები, რომლებიც ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დგანან და საამაყო საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ.

რუსთავის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, რომელმაც კომუნისტების მაღალი პოლიტიკური აქტივობითა და ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში ჩაიარა, მოხსენება გააკეთა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. გეგეშიძემ.

მეტალურგთა ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული ღონისძიებანი განახორციელეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული უხეში შეცდომების შედეგად გამოწვეული ნაკლოვანებებისა და ჩავარდნების აღმოსაფხვრელად, პარტიული მუშაობის ახლებურად მოსაწყობად, რამაც თავის მხრივ უზრუნველყო ახალ წარმატებათა მოპოვება. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებითა და წარმოებაში პროგრესული მეთოდების ფართოდ დანერგვით მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით პროდუქციის საერთო გამოშვება ერთიორად გაადიდა, მათ შორის ფოლადის გამოშვება გაიზარდა 64 პროცენტით, ბლუმსებისა — 131,6 პროცენტით, ელექტროენერგიისა — 112 პროცენტით. ამასთან წელს გადაჭარბებით შესრულდა როგორც საერთო პროდუქციის, ისე სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 7 თვის სახელმწიფო დავალებანი.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, — განაგრძობს მომხსენებელი, — რომ ქარხნის მუშაობაში არ იყოს ნაკლოვანებები. ქარხნის ძირითად საამქროთა კოლექტივებმა ჯერ კიდევ ვერ დააყენეს მუშაობა მოწოდების სიმაღლეზე. ზოგიერთი მათგანი ვერ ასრულებს გეგმას. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება მარტენისა და მილნამზადის საამქროები. მარტენის საამქროს მეფოლადეები ვერ ასრულებენ ღუმელების წარმადობის გადიდების გეგმას. განსაკუთრებით სუსტია პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლა. თითეული ტონა ფოლადის გამოდნობა აქ გათვალისწინებულ ღირებულებასთან შედარებით უფრო ძვირი უჯდებათ. ეს იმით არის გამოწვეული, რომ საამქროში ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე ვერა დგას წარმოებისადმი ხელმძღვანელობა, არის ტექნოლოგიური წესების დარღვევის შემთხვევები. დაბალია შრომის დისციპლინა. ცუდი მოვლისა და უყურადღებობის შედეგად წყობილებიდან გამოდიან ღუმელები.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ დამხმარე საამქროებიც, როგორიც არის სარემონტო-მექანიკური, სამსხმელო, სამჭედლო-საქვაბე და სხვ. ისინი გეგმის საერთო მაჩვენებლებით უფრო არიან გატაცებულნი, ხოლო ოპერატიული გრაფიკების დროულად შესრულებისათვის ნაკლებად ზრუნავენ, რაც თავის მხრივ უკან სწევს ქარხნის ძირითადი საამქროების საქმიანობას.

ქარხანაში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან პროდუქციის წუნის წინააღმდეგ. წუნით გამოწვეული ზარალი კვლავ მილიონობით მანეთს შეადგენს. ქარხნის პარტიული კომიტეტი (მდივანი ს. რაზმაძე) სუსტად ახორციელებს ადმინისტრაციისადმი პარტიული კონტროლის უფლებას.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მუშაობას. მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, ტრესტის მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. მიმდინარე წლის 7 თვის დავალების შესრულებაში მშენებლები საგრძნობლად ჩამორჩნენ და კვლავ ზარალით მუშაობენ.

მომხსენებელმა თვითკრიტიკის წესით აღნიშნა, რომ სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობის სერიოზული ნაკლოვანებანი პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის სუსტი მუშაობითაც არის გამოწვეული. საქალაქო კომიტეტმა სამეურნეო ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა მთლიანად მიანდო მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილებას, რომელიც თავის მხრივ, მოკლებულია რა საქალაქო კომიტეტის მდივნების მხრივ კონტროლს, სუსტად უძღვება დაკისრებულ საქმეს.

ამხ. გეგეშიძე ვრცლად შეჩერდა პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ პარტიის საქალაქო კომიტეტმა ნაყოფიერი მუშაობა გასწია პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლისა და პასუხისმგებლობის ასამაღლებლად მათ წინაშე მდგომი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის ბრძოლაში. მაგრამ ამ საქმეში ნაკლოვანებებიც არის. პარტიულ კრებებს არარეგულარულად და მოუმზადებლად იწვევენ ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის საბინაო-კომუნალური კანტორის, „კავსანტეხმონტაჟის", პურის კომბინატის, რკინიგზის სადგურ მთავარი არხისა და სხვა პირველად პარტიულ ორგანიზაციებში. სუსტად არის დაყენებული შესრულების შემოწმება როგორც პირველად პარტიულ ორგანიზაციებში, ისე პარტიის საქალაქო კომიტეტსა და მის განყოფილებებში.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პარტიული სწავლების საქმე. მაგრამ კომუნისტების პოლიტიკური განათლების დარგში ყველა ნაკლის აღმოფხვრა მაინც ვერ მოხერხდა. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა ერთმა ნაწილმა ვერ შეასრულა ინდივიდუალური გეგმა. პარტიული განათლების ქსელში გაერთიანებულთაგან 72 კაცმა ვერ შეითვისა სასწავლო პროგრამა და პოლიტიკური განათლების იმავე ფორმაში იქნა დატოვებული. ეს უმთავრესად იმით იყო გამოწვეული, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები და საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება სუსტ კონტროლს უწევდნენ წრეებისა და პოლიტსკოლების მუშაობას.

მოხსენების გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. ვ. მარტიაშვილმა ილაპარაკა საქარხნო პარტიული კომიტეტის მუშაობის ნაკლოვანებებზე, აღნიშნა, რომ ქარხნის პარტიული კომიტეტი საქმიან დახმარებას არ უწევს საამქროთა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, სუსტად იბრძვის პარტიის რიგების ზრდისათვის, ნაკლებად ზრუნავს შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და განსაკუთრებით მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებისათვის. ამხ. მარტიაშვილმა მკაცრად გააკრიტიკა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ვიშნიაკოვი და მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების მუშაკები იმის გამო, რომ როგორც მან მიუთითა, ისინი პირველადი ორგანიზაციებისადმი პარტიულ ხელმძღვანელობას ხშირად ადმინისტრირებით ცვლიან.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის საბინაო-კომუნალური კანტორის პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილე შ. ღამბაშიძე შეეხო კანტორის მუშაობის ნაკლოვანებებს და აღნიშნა, რომ სარემონტო სამუშაოთა შესრულება ხშირად დაუფინანსებლად, უგეგმოდ და ტექნიკური დოკუმენტაციის უქონლად წარმოებს. ამხ. ღამბაშიძემ გააკრიტიკა აგრეთვე პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება იმის გამო, რომ იგი სუსტად ეხმარება კანტორის პარტიულ ორგანიზაციას პარტიული სწავლების მაღალ დონეზე დაყენების საქმეში.

მარტენის საამქროს პარტორგანიზაციის მდივანმა მ. ფეიქრიშვილმა თქვა, რომ ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნებმა ქარხნის პარტიულ ორგანიზაციებს არ გააცნეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება მეტალურგიული ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. ამხ. ფეიქრიშვილმა მარტენის საამქროს პარტიული ორგანიზაციის ყოფილ მდივანს შ. ანთელიძეს მუშაობის ძირითად ნაკლად ჩაუთვალა სამეურნეო საკითხებით ზედმეტად გატაცება, მაგრამ რატომღაც თავისი გამოსვლაც უმთავრესად სამეურნეო საკითხების გაშუქებას მიუძღვნა და სრულიად არაფერი თქვა იმის შესახებ, თუ რა ზომები მიიღო საამქროს პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიული მუშაობის ახლებურად მოწყობისათვის.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მმართველმა ნ. გიორგაძემ მართებულად ცნო ტრესტის ხელმძღვანელობის მიმართ მომხსენებლის კრიტიკა და ილაპარაკა მშენებლობის დარგში არსებული ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის მიღებული ზომების შესახებ.

მეფოლადე შ. კუხალეიშვილმა მკაცრად გააკრიტიკა პარტიის საქალაქო კომიტეტი, მეტალურგიული ქარხნის ადმინისტრაცია, ქარხნის პარტიული კომიტეტი და პროფკავშირული ორგანიზაცია ჩქაროსნული დნობის საქმეში მეფოლადეებისადმი სუსტი დახმარებისათვის და სოციალისტური შეჯიბრებისადმი ფორმალური დამოკიდებულებისათვის. კუხალეიშვილმა ამხილა აგრეთვე ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი ქარხნის ტერიტორიაზე მოქმედი საზოგადოებრივი კვების ქსელის ცუდი მუშაობა.

რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. პ. მუსერიძე შეეხო ქალაქის მშენებლობის, კეთილმოწყობისა და ვაჭრობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს. მან აღნიშნა, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ეხმარება საქალაქო საბჭოს აღმასკომს ქალაქის კეთილმოწყობის საქმეში. მაგრამ ამხ. მუსერიძემ გაკვრით ილაპარაკა იმ ნაკლოვანებებზე, რაც საქალაქო საბჭოს აღმასკომს აქვს. კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სხვა ამხანაგებმა.

კონფერენციამ საქალაქო კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო, დასახა სათანადო ღონისძიებანი და აირჩია საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე თბილისის საოლქო პარტიული კონფერენციის დელეგატები.

კონფერენციის დელეგატებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ხალხთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი.

მისალმება გაეგზავნა დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ამხანაგ ლ. პ. ბერიას.

• • •

შედგა ახლადარჩეული საქალაქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. გ. გეგეშიძე, მეორე მდივნად—ამხ. ვ. ჩალაძე, მდივნად—ამხ. ი. ვიშნიაკოვი.

კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლი

ოთხი წლის წინათ, 1948 წლის 31 აგვისტოს გარდაიცვალა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი.

სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტმა ა. ა. ჟდანოვმა თავისი სიცოცხლე მოახმარა ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმისათვის ბრძოლას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას. იგი, ცხრამეტი წლის ჭაბუკი, 1915 წელს შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში და გაბედულად ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მას მართალი, ბოლშევიკური სიტყვა შეჰქონდა მეფის ჯარების ფარაჯაგადაცმულ მუშებსა და გლეხებში. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პერიოდში ამხ. ჟდანოვი იყო ურალში, სადაც მან აქტიური მონაწილეობა მიიღო რევოლუციის მომზადებასა და გამარჯვებაში, ხოლო სამოქალაქო ომის წლებში ნაყოფიერ პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას ეწეოდა წითელი არმიის ნაწილებში.

ათი წლის განმავლობაში—1924-1934 წლებში ა. ა. ჟდანოვი ხელმძღვანელობდა გორკის მხარის პარტიულ ორგანიზაციას, სადაც მან გამოავლინა შესანიშნავი პარტიული ორგანიზატორისა და შემოქმედი მუშაკის დიდი ნიჭი და უნარი.

საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ა. ჟდანოვი არჩეულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, ხოლო XVI ყრილობაზე—წევრად. XVII ყრილობის შემდეგ მას ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად. 1939 წლიდან ა. ჟდანოვი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი იყო.

ა. ა. ჟდანოვის სახელი განსაკუთრებით ძვირფასია ლენინგრადის მშრომელებისათვის. კიროვის ვერაგულად მოკვლის შემდეგ, პარტიის დავალებით მან ლენინგრადში დაჰყო ათი წელი—1934-1944 წლები. ამხ. ჟდანოვი ლენინგრადის მშრომელებს რაზმავდა და აღაფრთოვანებდა სოციალიზმისათვის ისტორიულ ბრძოლაში, ხოლო ომის დროს, ლენინგრადელ მშრომელებს რაზმავდა ფაშისტ დამპყრობთა ურდოების გასანადგურებლად.

საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ა. ჟდანოვის შესანიშნავ პარტიულ და სამხედრო მოღვაწეობას. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორი ორდენით, წითელი დროშის ორდენით, სუვოროვის I ხარისხის ორდენით, კუტუზოვის I ხარისხის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით.

მარქსიზმის გამოჩენილი თეორეტიკოსი, ლენინ-სტალინის დიადი იდეების უნიჭიერესი პროპაგანდისტი ა. ა. ჟდანოვი დიდ მუშაობას ეწეოდა იდეოლოგიური მუშაობის დარგში. ამხ. ჟდანოვის გამოსვლები ლიტერატურის, ხელოვნების, ფილოსოფიის საკითხებზე, აგრეთვე [illegible] საკითხებზე [illegible] რიოტიზმის სულისკვეთებით აღანთებენ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მშრომელებს, მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვების რწმენას უნერგავენ და დიადი მომავლისათვის საბრძოლველად აღაფრთოვანებენ კაპიტალისტური სამყაროს მშრომელებს.

ამხ. ჟდანოვი გამსჭვალული იყო ლენინ-სტალინის პარტიისა და სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით. ის ამაყობდა, რომ საბჭოთა კავშირის მოქალაქე იყო, შეჰხაროდა კომუნიზმისაკენ სწრაფად მიმავალ ჩვენს შემოქმედ ხალხს. „სად ნახავთ ისეთ ხალხსა და ისეთ ქვეყანას, — ამბობდა ამხ. ჟდანოვი, — როგორიც ჩვენია? სად ნახავთ ადამიანთა ისეთ შესანიშნავ თვისებებს, როგორიც გამოიჩინა ჩვენმა საბჭოთა ხალხმა დიდ სამამულო ომში და როგორსაც იგი ყოველდღე იჩენს შრომით საქმეებში, მშვიდობიან განვითარებაზე და მეურნეობისა და კულტურის აღდგენაზე რომ გადავიდა! ჩვენი ხალხი ყოველდღე სულ უფრო და უფრო მაღლა იწევს. ჩვენ დღეს ის აღარა ვართ, რაც გუშინ ვიყავით და ხვალ ის აღარ ვიქნებით, რაც დღეს ვართ".

სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტს არ შეეძლო მოეთმინა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული კულტურის წინაშე ქედის მოხრის რაიმე გამოვლინება. ლიტერატურისა და ხელოვნებისაგან იგი მოითხოვდა პარტიულობას, ხალხის სამსახურში ყოფნას.

საერთაშორისო ვითარების გარკვევისა და მშვიდობის ძალთა შემჭიდროების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ა. ა. ჟდანოვის მოხსენებამ „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ", რომელიც მან 1947 წლის სექტემბერში გააკეთა ზოგიერთი კომპარტიის წარმომადგენელთა თათბირზე პოლონეთში. მოხსენებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „იმპერიალისტთა სურვილსა — გააჩაღონ ახალი ომი, და ასეთი ომის მოწყობის შესაძლებლობას შორის უდიდესი მანძილია. მსოფლიოს ხალხებს ომი არა სურთ. მშვიდობის მომხრე ძალები იმდენად მნიშვნელოვანი და დიდია, რომ თუ ეს ძალები სიმტკიცესა და გამძლეობას გამოიჩენენ მშვიდობის დაცვის საქმეში, თუ ისინი გამბედაობასა და სიმტკიცეს გამოიჩენენ, მაშინ აგრესორთა გეგმები სრულ კრახს განიცდიან".

დიდია ამხ. ჟდანოვის ამ სიტყვების მნიშვნელობა. ომის ამერიკელ-ინგლისელი გამჩაღებლები თავისას არ იშლიან, იმუქრებიან, იარაღს აჩხარუნებენ, მაგრამ ომს გზას ულობავს მშვიდობის მომხრეთა უძლეველი ფრონტი. მშვიდობის ძალები ჩაფუშავენ ომის გამჩაღებელთა ავაზაკურ გეგმებს.

სახელოვანი კომუნისტური პარტიის XIX ყრილობისათვის მზადების დღეებში საბჭოთა ხალხი სიყვარულით იგონებს სოციალისტური სამშობლოს დიდ პატრიოტს. ა. ა. ჟდანოვის ცხოვრება და ბრძოლა მუდამ დარჩება საბჭოთა ადამიანების, მთელი პროგრესული კაცობრიობის გულში, როგორც ლენინ-სტალინის იდეებისათვის, მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის თავდადების ბრწყინვალე მაგალითი.

ახალი სასწავლო წელი, ახალი ამოცანები

ხვალ იწყება ახალი სასწავლო წელი. ათეულ ათასობით მოსწავლე და სტუდენტი შეუდგება გულმოდგინე მუშაობას მეცნიერებათა საფუძვლების დასაუფლებლად.

გასულ სასწავლო წელს რესპუბლიკის სკოლებმა ერთგვარი წარმატებები მოიპოვეს მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში. ბევრმა სკოლამ მის წინაშე დასმული ამოცანის სწორად გაგების შედეგად, პედაგოგიური პროცესის სწორი ორგანიზაციით, სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გეგმაშეწონილად წარმართვით მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. საგრძნობლად განმტკიცდა მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინა, გაძლიერდა სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობა, გაუმჯობესდა ენების სწავლება ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების საფუძველზე, მკვიდრ ნიადაგზე დადგა საბუნებისმეტყველო დისციპლინათა სწავლება პავლოვისა და მიჩურინის მოძღვრების მიხედვით.

მაგრამ მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების მუშაობას სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. სასკოლო მუშაობის ძირითად ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ჯერ კიდევ ვერ შევძელით აკადემიური ჩამორჩენილობისა და მეორეწლიანობის სრული ლიკვიდაცია. მიმდინარე წელს ჩატარებული საგაზაფხულო გამოცდების შედეგად შემდგომ კლასებში გადავიდა ან კურსი დაამთავრა 470.242 მოსწავლემ, რაც მათი საერთო რაოდენობის 74,3 პროცენტს შეადგენს. საშემოდგომო გამოცდა მიეცა 85.253 მოსწავლეს (13,5 პროცენტი), ხოლო კურსის განმეორებით გასავლელად იმავე კლასებში დატოვებულ იქნა 77.298 მოსწავლე (12,2 პროცენტი). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საშემოდგომო გამოცდამიცემული მოსწავლეების ერთმა ნაწილმა ვერ შეძლო გამოცდის ჩაბარება და, მაშასადამე, დატოვებულ იქნა იმავე კლასებში, ნათელი გახდება, რომ მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ეს ძირითადი ნაკლი უწინარეს ყოვლისა იმის შედეგია, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მანკიერი სტილით მუშაობის შედეგად სახალხო განათლების ორგანოებშიც გადგმული ჰქონდა ფესვი პარადულ განწყობილებას და გულდამშვიდების პრაქტიკას. განათლების ორგანოები სკოლისა და მასწავლებლის მუშაობის ზერელე შემოწმებით კმაყოფილდებოდნენ, მკაცრად არ აკრიტიკებდნენ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, არ სახავდნენ კონკრეტულ ქმედით ღონისძიებებს მათი აღმოფხვრისათვის.

განათლების სამინისტრო ვერ იდგა საკმაოდ ახლოს სკოლებთან, მასწავლებლის მუშაობასთან. იგი სკოლისა და მასწავლებლის მუშაობის ადგილზე შემოწმების ნაცვლად ხშირად კმაყოფილდებოდა სამინისტროში წარმოდგენილი ცნობებით, რომლებშიც ასახული არ იყო საქმის რეალური ვითარება. სერიოზული ხარვეზები გვაქვს საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გატარებაში. საქართველოს სკოლების წარსული წლების მუშაობა ნათელყოფს, რომ ამ დიდ საქმეს განათლების განყოფილებათა გამგეები და სკოლის მუშაკები სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობდნენ. ჯერ კიდევ დიდია სკოლას ჩამოშორებულ ბავშვთა რაოდენობა. გასული სასწავლო წლის დასაწყისში რესპუბლიკის სკოლებში ჩაბმული არ იყო სასკოლო ასაკის 45.689 ბავშვი. ზოგმა რაიონმა ვერ შეინარჩუნა მოსწავლეთა ის კონტინგენტი, რომელიც მას სასწავლო წლის დასაწყისში ჰყავდა. მაგალითად, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარის საშუალო სკოლას გასული სასწავლო წლის მარტის პირველ ნახევარში 30 მოსწავლე ჩამოშორდა, ზუგდიდის რუხულ სკოლას — 19, ჩხოროწყუს საშუალო სკოლას — 13, ადიგენის საშუალო სკოლას — 14, საგარეჯოს რაიონის ხაშმის საშუალო სკოლას — 87 და სხვ.

სკოლას ჩამოშორებულ ბავშვთა უმრავლესობა მეორეწლიანი ან აკადემიურად ჩამორჩენილია. და ეს შემთხვევითი როდია. ზოგი სკოლის დირექტორი, კლასის ხელმძღვანელი, მასწავლებლები, ნაცვლად იმისა, რომ ქმედითი მუშაობა გაშალონ აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა გამოსასწორებლად, ხელს უწყობენ სკოლიდან მათ წასვლას, ცდილობენ თავიდან მოიშორონ ასეთი მოსწავლეები და ამით „აამაღლონ" სკოლის აკადემიური წარმატების დონე. ეს სახელმწიფოებრივი დანაშაულია, რომლის ყოველგვარი გამოვლინება დაუყოვნებლივ უნდა ვამხილოთ, ხოლო დამნაშავე სასტიკად დავსაჯოთ.

ახალი სასწავლო წელი საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გატარებაში არსებულ ნაკლოვანებათა სრული აღმოფხვრის წელი უნდა გახდეს. ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი პირობები არსებობს იმისათვის, რომ სასკოლო ასაკის არც ერთი ბავშვი არ დარჩეს სკოლის გარეთ. ეს ამოცანა ჩვენგან მოითხოვს დაძაბულ მუშაობას. უნდა უზრუნველვყოთ მისი წარმატებით გადაწყვეტა. გასულ სასწავლო წელს ჩვენმა სკოლებმა ვერ აღმოფხვრეს მეორეწლიანობა და მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობა. ამ ამოცანის გადაწყვეტა ადვილი როდია, მაგრამ იგი შეუძლებელი არ არის. ამას ადასტურებს მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილება. ასეთები კი ჩვენს რესპუბლიკაში ბევრია.

მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობისა და მეორეწლიანობის ძირითადი მიზეზია თვით მასწავლებლის ცუდი მუშაობა. ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ გვყავს ისეთი მასწავლებლები, რომლებიც არაკეთილსინდისიერად ეკიდებიან პედაგოგის საპატიო მოვალეობას, ატყუებენ მოსწავლეებს, სკოლას, სახელმწიფოს, წლების მანძილზე ცუდად მუშაობენ და მოსწავლეებს არ აძლევენ ცალკეულ საგნებში პროგრამით გათვალისწინებულ ცოდნა-ჩვევებს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ზუგდიდის რაიონის ორულის საშუალო სკოლის XI კლასში 14 მოსწავლიდან ვერც ერთმა ვერ ამოხსნა ამოცანა; წულუკიძის რაიონის მათხოჯის საშუალო სკოლაში 34 მოსწავლიდან მათემატიკაში ოცს დაეწერა ნიშანი „2". დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანის საშუალო, ქვემო ჭალადიდის რვაწლიან, ქ. რუსთავის მე-2 საშუალო და სხვა სკოლებში. აღმაშფოთებელი ის არის, რომ მოსწავლეებს, რომლებმაც გამოცდებზე „ორები" მიიღეს, წლის განმავლობაში მეოთხედურ ნიშნებად „ოთხები" და „ხუთებიც" კი ეწერათ. ეს იმას მოწმობს, რომ მასწავლებლები თვალისახვევით ცდილობდნენ თავიანთი ცუდი მუშაობის დაფარვას.

აკადემიური წარმატებისათვის გადამწყვეტი როლი ენიჭება თვითეული გაკვეთილის მაღალხარისხოვნად ჩატარებას. მასწავლებელი გულდასმით უნდა ემზადოს ყოველი გაკვეთილისათვის. თვითეული გაკვეთილი მან ისე უნდა ჩაატაროს, რომ, როგორც დიდი პედაგოგი კომენსკი ამბობდა, დღევანდელი განამტკიცებდეს გუშინდელს და გზას უხსნიდეს ხვალინდელს. ახალი სასწავლო წლიდან განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება გაკვეთილის ხარისხზე.

აკადემიური ჩამორჩენილობის ერთ-ერთ მიზეზს ისიც წარმოადგენს, რომ ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია საშინაო დავალებებით მოსწავლეთა დატვირთვის საქმე. ხშირია ფაქტები საშინაო დავალებებით მოსწავლეთა გადატვირთვისა. ზოგიერთი მასწავლებელი საშინაო დავალებებად მოსწავლეებს აძლევს ისეთ მასალას, რომელიც კლასში სათანადოდ ჯერ კიდევ არ დამუშავებულა, არ ახსნილა, არ გარკვეულა. ასეთი მასალის დამოუკიდებლად დაძლევა ბავშვებს უძნელდებათ, მასზე დიდ დროს ხარჯავენ, შედეგი კი სათანადო არ არის.

სკოლებში აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთ მტკივნეულ უბანს წარმოადგენს ის, რომ ზოგი სკოლა ჯერ კიდევ სუსტად იბრძვის „მოსწავლეთა ქცევის წესების" მტკიცედ დანერგვისათვის. ჯერ კიდევ საგრძნობია მოსწავლეთა მიერ წესრიგის დარღვევის შემთხვევები როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ — ქუჩაში, კინოთეატრებში, საზოგადოებრივ საკრებულო ადგილებში. არის მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენის, დაგვიანების შემთხვევები.

სკოლის დირექტორებმა, კლასის ხელმძღვანელებმა, მასწავლებლებმა უნდა შეიმუშაონ აღზრდის გონივრულად მოფიქრებული ერთიანი სისტემა. უკეთ უნდა დავაყენოთ სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობა, ამ საქმეში მტკიცედ უნდა ვიხელმძღვანელოთ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის დადგენილებით.

გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს მოსწავლეთა მშობლებთან მუშაობა. სკოლამ მჭიდრო კავშირი უნდა დაამყაროს მოსწავლეთა მშობლებთან, დარაზმოს ისინი ბავშვის აღზრდის რთული და პასუხსაგები საქმის სწორად დაყენებისათვის საბრძოლველად.

სოციალისტური კულტურის წარმატებით განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მშრომელთა ფართო მასების განათლების საფუძველზე. პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი მზრუნველობისა და ყურადღების შედეგად ყოველწლიურად დიდი თანხები იხარჯება ახალი სასკოლო შენობების ასაგებად, სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების რემონტისათვის, ბავშვთა დასვენებისათვის.

ახალ სასწავლო წელს ჩვენი რესპუბლიკის სკოლები გაცილებით უკეთეს პირობებში იწყებენ, ვიდრე გასულ სასწავლო წელს. რესპუბლიკის სკოლები წელს მიიღებენ რამდენიმე ახალ სასკოლო შენობას, კაპიტალური რემონტი გაუკეთდა ასობით სკოლას, შეძენილია ახალი მერხები, დაფები და სხვა სასკოლო ინვენტარი, კაბინეტ-ლაბორატორიები შევსებულია დიდძალი ხელსაწყო-იარაღებით, სასკოლო ბიბლიოთეკები უზრუნველყოფილია პოლიტიკური, მხატვრული, მეთოდური და მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურით. შესამჩნევად გაუმჯობესებულია მასწავლებელთა კადრების შემადგენლობა, გამოცემულია ახალი პროგრამები და სახელმძღვანელოები, სკოლები უზრუნველყოფილია სასწავლო ნივთებით.

ახალი სასწავლო წლის დაწყება გვიხდება იმ მომენტში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა სასიხარულო დღეებს განიცდის. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობამ საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევის შესახებ უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია მთელ ჩვენს ხალხში. იზრდება მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტი პარტიის XIX ყრილობის დირექტივებისა სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ გრანდიოზულ ამოცანებს სახავს სახალხო განათლების დარგშიც. ეს ამოცანები მოითხოვს ჩვენი მუშაობის არსებითად გარდაქმნა-გაუმჯობესებას. მეხუთე ხუთწლედის დამლევისათვის უნდა „დამთავრდეს შვიდწლიანი განათლებიდან საყოველთაო საშუალო განათლებაზე (ათწლედი) გადასვლა რესპუბლიკების დედაქალაქებში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, საოლქო, სამხარეო და უდიდეს სამრეწველო ცენტრებში მომზადდეს პირობები, რათა შემდგომ ხუთწლედში მთლიანად განხორციელდეს საყოველთაო საშუალო განათლება (ათწლედი) დანარჩენ ქალაქებსა და სოფელ-ადგილებში".

ახალი ხუთწლედის დირექტივების პროექტი ითვალისწინებს: „გადიდდეს საქალაქო და სასოფლო სკოლების მშენებლობა დაახლოებით 70 პროცენტით წინა ხუთწლედთან შედარებით".

გარდა ამისა მეხუთე ხუთწლედი ითვალისწინებს პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებას საშუალო სკოლაში და სათანადო ღონისძიებებს საყოველთაო პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასასვლელად, სკოლების სრულ უზრუნველყოფას პედაგოგიური კადრებით და მთელ რიგ სხვა საკითხებს.

ეს ღონისძიებები ერთხელ კიდევ მოწმობს იმ დიდ მზრუნველობასა და დახმარებას, რომელსაც სახალხო განათლების საქმეში იჩენენ ლენინ-სტალინის პარტია, ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

მაღალნაყოფიერი მუშაობით ვუპასუხოთ ამ დიდ მზრუნველობას, წარმატებით გადავჭრათ პარტიის მიერ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში!

ვ. ტოგონიძე,
საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის მეხუთე სტალინურ ხუთწლედში

საბჭოთა მაღაროელების შრომითი გამარჯვების დათვალიერება

ა. ზასიადკო,

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი

დღეს, მეშახტის დღეს, საბჭოთა ხალხი ღირსეულ პატივს სცემს სახელოვან მაღაროელებს — კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა ერთ-ერთ მოწინავე რაზმს. დიდი პატრიოტული აღმავლობით აწყობენ ქვანახშირის მრეწველობის მუშაკები ამ ტრადიციულ დღესასწაულში თავიანთ მიღწევათა დათვალიერებას, უპატაკებენ დიდ სტალინს ქვანახშირისათვის, საყვარელი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში მოპოვებულ ახალ გამარჯვებათა შესახებ.

წელს მეშახტეთა დღესასწაული აღინიშნება განსაკუთრებით მნიშვნელოვან დღეებში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება ბოლშევიკური პარტიის XIX ყრილობისათვის.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტი ქვანახშირის მრეწველობის დარგში ითვალისწინებს ქვანახშირის ამოღების გადიდებას 1955 წლისათვის 43 პროცენტით და კოქსვადი ქვანახშირის ამოღების გადიდებას სულ ცოტა 50 პროცენტით. მეხუთე ხუთწლიან გეგმაში, მეოთხე ხუთწლედთან შედარებით, უნდა გადიდდეს ქვანახშირის შახტების ახალ სიმძლავრეთა ამუშავება დაახლოებით 30 პროცენტით, გაუმჯობესდეს ქვანახშირის ხარისხი, მნიშვნელოვნად გაფართოვდეს მისი გაუხვება და დაბრიკეტება.

საბჭოთა მეშახტეები წლითიწლობით სულ უფრო მეტ სათბობს აძლევენ ჩვენს ქვეყანას. 1951 წელს ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო გეგმა ვადაზე ადრე შესრულდა. წელს ქვანახშირის მრეწველობა აგრეთვე წარმატებით ართმევს თავს მის წინაშე დასახულ ამოცანებს. ასრულებენ რა ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილებში ნაკისრ ვალდებულებებს, მეშახტეებმა გადაჭარბებით შეასრულეს ქვანახშირის ამოღების რვა თვის გეგმა. სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე კოქსვადი ქვანახშირის ზეგეგმითი ამოღების ვალდებულებანი შესრულებულია ვადაზე ადრე.

შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდა მოწმობს დიდ თვისებრივ ცვლილებებს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობაში. „შრომის ნაყოფიერება, ეს, საბოლოო ანგარიშით, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის",—ლენინის ეს სიტყვები მეშახტეთა სოციალისტური შეჯიბრების დროშად გადაიქცა.

საბჭოთა მაღაროელებისა და შახტმშენებლების თავდადებული შრომის მეოხებით დონბასი—ფაშისტ ოკუპანტთა მიერ დანგრეული ეს მთავარი საკავშირო წყარო სათბობისა, — სავსებით აღდგენილია და აღჭურვილია მოწინავე საბჭოთა ტექნიკით. მან უკვე 1950 წელს მნიშვნელოვნად გადააჭარბა ქვანახშირის ამოღების ომამდელ დონეს და ჩვენს ქვეყანაში ქვანახშირის ყველაზე დიდი აუზი გახდა.

ამ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ქვანახშირის აუზებში ამუშავებულია ასობით ახალი შახტი და ჭრილი, ათობით გამაუხვებელი და საბრიკეტო ფაბრიკა. ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილმა ამ დიდმა თანამედროვე საწარმოებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობა.

ჩვენს შახტებში სულ უფრო ფართოდ ინერგება ავტომატიზაცია და მექანიზმების სადისტანციო მართვა. ეს მოასწავებს ქვანახშირის მრეწველობის მექანიზაციის ახალ უმაღლეს კლასში გადასვლას. სადისტანციო მართვაზე ახლა უკვე გადაყვანილია ათასობით საყელავი მანქანა, კომბაინი, კონვეიერი და მრავალი ათასი სხვა მექანიზმი. ავტომატიზაციის წარმატებით დანერგვა გზას უხსნის შრომის ნაყოფიერების უმაგალითო განვითარებას შახტებსა და ჭრილებში.

საბჭოთა ქვანახშირის მრეწველობის წარმატებები შახტებში წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ძირითადი გარდაქმნის შედეგიც არის. ახალმა სამთო ტექნიკამ გამოიწვია აგრეთვე ციკლური მუშაობის გრაფიკის დანერგვაზე დამყარებული მიწისქვეშა სამუშაოთა ორგანიზაციის ახალი, უფრო მაღალი კულტურა.

ამ უკანასკნელ წლებში ძლიერ გაიზარდნენ საბჭოთა მაღაროელების კადრები. ახალი ადამიანები — მეშახტე-მექანიზატორები — წარმატებითა და გაბედულად ეუფლებიან მოწინავე საბჭოთა ტექნიკას და შრომის ციკლურ ორგანიზაციას. სამთო კომბაინებითა და სხვა თანამედროვე მანქანებით აღჭურვილ ლავებსა და სანგრევებში სამუდამოდ გაქრა ხელით შრომის გამოყენებასთან დაკავშირებული მუშათა მთელი რიგი პროფესიები; ამავე დროს გაჩნდა მანქანების მომსახურე მეშახტეთა ახალი პროფესიები.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის: „ტექნიკა რომ ავამოძრაოთ და ბოლომდე გამოვიყენოთ, საჭიროა ტექნიკას დაუფლებული ადამიანები, საჭიროა კადრები, რომელთაც შესწევთ უნარი აითვისონ და გამოიყენონ ეს ტექნიკა ხელოვნების მთელი ოსტატობით".

საბჭოთა ქვანახშირის მრეწველობაში ფართოდ მიმდინარეობს მექანიზატორთა კადრების მომზადება. მარტო ამ უკანასკნელ წელს საწარმოო სწავლა შახტებში დაამთავრა ასეულ ათასობით მაღაროელმა. ადამიანები, რომლებიც დაეუფლნენ მოწინავე საბჭოთა სამთო ტექნიკას, უზრუნველყოფენ მექანიზმების ეფექტიან გამოყენებას და გვიჩვენებენ მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშებს.

ჩვენს ქვეყანაში ფართოდ არის ცნობილი სტალინური პრემიის ლაურეატების, ქვანახშირის კომბაინებს მემანქანეების ვასილ კუჩერის, ნიკოლოზ მედვიგის, ვასილ საუშკინის, პორფირე ტროფელოვისა და ვიქტორ სუგონიაკის სახელები.

ქვანახშირის მრეწველობის ნოვატორები ამ უკანასკნელ დროს დიდ ყურადღებას აქცევენ შახტების მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებელთა გაუმჯობესებას. ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინა დონეცელმა კომბაინის მემანქანემ ტიხონ მიხაილოვმა, რომლის თაოსნობითაც მეშახტეთა შორის გაჩაღდა მასობრივი მოძრაობა შრომის ნაყოფიერების გადიდების პირადი სტახანოვური გეგმების შედგენისა და შესრულებისათვის. ამ თაოსნობამ, რომელსაც მხურვალედ გამოეხმაურნენ ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის ყველა აუზის მაღაროელები, ფართო გაქანება მიიღო. ათასობით მეშახტემ, მიბაძა რა ტიხონ მიხაილოვის მაგალითს, შეადგინა პირადი სტახანოვური გეგმა, განახორციელა ბევრი ნოვატორული წინადადება და ამით მიაღწია გამომუშავების მნიშვნელოვან ზრდას. ბევრ შახტში შრომის ნაყოფიერების გადიდების პირადი გეგმებიდან გადავიდნენ კოლექტიურ სტახანოვურ გეგმებზე. დიდად გავრცელდა კუზბასის „კაპიტალნაია-1" შახტის უბნის უფროსის ალექსანდრე ანდრიუსენკოს თაოსნობა, რომელმაც გვიჩვენა სახსრების მომჭირნეობის მაგალითი საწარმოო ციკლის ყოველ ოპერაციაზე.

მეშახტე ნოვატორებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შემოქმედებითს თანამშრომლობაში ჩნდება ათასობით ძვირფასი წინადადება, რომლებიც წინ სწევენ ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის მრეწველობას. ამ უკანასკნელ წელს დაინერგა 14 ათასზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული ღონისძიება, რომლებიც მიმართულია შახტებში საწარმოო პროცესების გაუმჯობესებისაკენ. ახალი მანქანების შექმნისა და შახტებში შრომის მეთოდების ძირითადი გაუმჯობესებისათვის 262 კაცს მიენიჭა სტალინური პრემიის ლაურეატის წოდება.

საბჭოთა კავშირის მეშახტეთა აღფრთოვანებული შრომა გარემოსილია პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვით. კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც მეშახტეები ყველაზე ექსპლოატირებული და გაუბედურებული ადამიანები არიან, საბჭოთა სახელმწიფოში მეშახტეები არიან საპატიო და მოწინავე მშრომელები, რომლებიც კომუნიზმის მშენებელთა ავანგარდში დგანან.

მეშახტეებისათვის სტალინური ზრუნვა მკაფიოდ იჩენს თავს მიწისქვეშა შრომის შემსუბუქებით, მაღაროელთა ჯანმრთელობის დაცვით და ქვანახშირის რაიონებში საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების განუწყვეტელი გაუმჯობესებით. სახელმწიფო ყოველწლიურად დიდ სახსრებს ხარჯავს ამ მიზნებისათვის. ამ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მეშახტეთა დაბებში საექსპლოატაციოდ გადაეცა დაახლოებით 7 მილიონი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი მაღაროელებისა და მათი ოჯახებისათვის. გარდა ამისა, აგებულია 2 ათასზე მეტი კლუბი, სკოლა, ბიბლიოთეკა, საავადმყოფო, საბავშვო ბაღი და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები. არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში მაღაროელებს ოცნებაც არ შეუძლიათ ისეთი ფართო საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის მეასედ ნაწილზეც კი, რაც წლითიწლობით ხორციელდება სსრ კავშირის ქვანახშირის ყველა აუზში.

საბჭოთა მეშახტეების ხელფასი მაღალია. ხელფასის დონე სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობაში, განსაკუთრებით მიწისქვეშა სამუშაოებზე, უფრო მეტია, ვიდრე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებებით მეშახტეებისათვის დაწესებულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი შეღავათები და უპირატესობანი—ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის, გადიდებული რაოდენობის პენსია და დახმარება დროებითი შრომის უნარის დაკარგვის დროს, გასამრჯელოს ყოველწლიური გაცემა ნამსახურობისათვის. გათვალისწინებულია უპირატესობა და შეღავათები სამედიცინო და სანიტარულ-კულტურული მომსახურების დროს. შახტების დამსახურებულ მშრომელებს ენიჭებათ საპატიო მეშახტის წოდება.

საბჭოთა მეშახტეები დიდი რწმენით შეჰყურებენ თავიანთ მომავალს. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტში პარტიის XIX ყრილობის დირექტივებზე მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ აღნიშნულია, რომ ახალი ხუთწლედი „წარმოადგენს მშვიდობიანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გეგმას". და, მეშახტეებიც მთელ ხალხთან ერთად აღფრთოვანებით შრომობენ კომუნიზმისა და მშვიდობისათვის.

მეშახტის დღეს ათასობით საბჭოთა მაღაროელი აძლევს ლენინ-სტალინის პარტიას ბოლშევიკურ სიტყვას: სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მეხუთე ხუთწლიანი გეგმა პირნათლად შესრულდება.

XIX ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტს ჩვენი შახტის მთელი კოლექტივი უდიდესი ინტერესით ეცნობა. თვითეულ დასახელებულ ციფრში იხატება ახალი ქარხნები, ფაბრიკები, შახტები, ელექტროსადგურები, საცხოვრებელი სახლები, სკოლები, გიგანტური არხები და ქარსაცავი ზოლები, რომლებიც სახეს შეუცვლიან საბჭოთა მიწას.

მე სამთო-სამრეწველო სკოლა დავამთავრე და სტალინის სახელობის შახტში სამუშაოდ მოვედი იმ დროს, როცა საბჭოთა ხალხმა დაიწყო მეოთხე ხუთწლიანი გეგმის განხორციელება. ამ დროიდან დღემდე ჩვენმა შახტმა მთლიანად შეიცვალა სახე. საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი მძლავრი უბნები და ლავები, აგებულ იქნა თანამედროვე სამთო მექანიზმებით აღჭურვილი ჰიდრავლიკური ესების მთლიანი კომპლექსი. ახლა ქვანახშირს ვიღებთ უფრო იაფად, იოლად და უსაფრთხოდ. თითქმის ყველა შრომატევად სამუშაოს მექანიზმები ასრულებენ. დღედაღამ განუწყვეტლივ მოქმედებენ მძლავრი მომხვეტი კონვეიერები, ტრანსპორტიორები, პერფორატორები, ელექტრობურღები, ჯალამბრები. გადიდდა მეშახტეთა საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა რაოდენობა. მეშახტეთა უბნები დამშვენდა ორ და სამსართულიანი ახალი საცხოვრებელი სახლებით.

აი ეს მოგვცა ჩვენ, მარტო ერთი შახტის მუშებს, მეოთხე სტალინურმა ხუთწლედმა. მეხუთე ხუთწლედი კიდევ უფრო გააუმჯობესებს ჩვენს ცხოვრებას.

როცა ყოველივე ამას ვაკვირდები, ვიმსჭვალები ერთი მისწრაფებით, ერთი აზრით: ვიმუშაო უფრო თავდადებით.

ამ დღეებში ჩვენს შახტში მოწვეულ კრებაზე ვიკისრე ქვანახშირის მონგრევის სექტემბრის დავალება შევასრულო სულ მცირე 30 პროცენტის გადაჭარბებით.

ვდგებით რა XIX ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე, პირობას ვიძლევი კიდევ უფრო გავზარდო შრომის ნაყოფიერება, ქვეყანას მივცე მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირი.

ი. ორჯონიკიძე,

ტყიბულის სტალინის სახელობის შახტის სტახანოველი მნგრეველ-მებიგე.

ჩვენი ვალდებულებანი

ახალი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელება სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე გადადგმული კიდევ ერთი გიგანტური ნაბიჯი იქნება. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, რაც შეიძლება მეტი წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მშენებლობის დიადი სტალინური გეგმის განხორციელებაში.

ჩვენი ბრიგადა, რომელიც შახტში ყველაზე მოწინავეა, სისტემატურად მეტ და მაღალხარისხოვან ქვანახშირს იღებს. წლის დასაწყისიდან გეგმის გადამეტებით უკვე ამოვიღეთ 3 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი, რითაც წარმატებით გავანაღდეთ დიდი სტალინისათვის გაგზავნილ წერილით ნაკისრი ვალდებულება. ბრიგადის ყველა წევრი დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ამ დღეებში გადავსინჯეთ ჩვენი შესაძლებლობა, გავითვალისწინეთ ყველა გამოუყენებელი რეზერვი, და გადავწყვიტეთ უფრო მაღალი საწარმოო წარმატების მოპოვება. ვიკისრეთ ყრილობის გახსნის დღისათვის მივცეთ სამშობლოს გეგმის გადამეტებით სულ ცოტა 500 ტონა ქვანახშირი და მნიშვნელოვნად შევამციროთ ამოღებული ქვანახშირის თვითღირებულება. პირადად მე ვიკისრე ქვანახშირის მონგრევის სექტემბრის დავალება 150 პროცენტით შევასრულო.

ვალდებულების განაღდებისათვის ბრძოლა უკვე გავაჩაღეთ. ვამზადებთ ახალ საექსპლოატაციო ლავას. ამჟამად ვახორციელებთ მთელ რიგ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს, რათა 1 სექტემბრიდან ამ მძლავრ ლავაში დავნერგოთ შრომის ორგანიზაციის მაღალი ფორმა—სადღეღამისო ციკლური გრაფიკი.

ქ. ცირეკიძე,

ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის მნგრეველთა ბრიგადის ბრიგადირი.

ტყიბულის წარჩინებული მეშახტეები, სოციალისტური შრომის გმირები პ. ჭელიშვილი (მარცხნივ) და ა. ქასრაძე. ფოტო დ. საბელაშვილისა.

ტყვარჩელელი მეშახტეები მეტი ქვანახშირისათვის ბრძოლაში

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის დირექტივების პროექტში სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ გათვალისწინებულია ქვანახშირის მოპოვების 43 პროცენტით გადიდება მეოთხე ხუთწლედთან შედარებით.

ტყვარჩელელმა მეშახტეებმა 1951 და 1952 წლებში თვალსაჩინო მუშაობა გასწიეს ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულებისა და მეხუთე ხუთწლედის დავალებათა განხორციელებისათვის მყარი მდგომარეობის შესაქმნელად.

მიმდინარე წლის 8 თვეში ქვანახშირის ამოღების გეგმა შესრულებულია დიდი გადაჭარბებით, წინა წელთან შედარებით ამოღებულია 17,2 პროცენტით მეტი ქვანახშირი. ასევე წარმატებით არის განაღდებული სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა დავალება, გაუმჯობესებულია ქვანახშირის ხარისხი, თვითღირებულების შემცირებით შვიდ თვეში მიღწეულია 974 ათასი მანეთის ეკონომია.

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით ჩვენს ტრესტს მეექვსედ მიეკუთვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. წელიწადნახევრის განმავლობაში ეს ალისფერი დროშა — შრომის ფრონტზე გამარჯვების სიმბოლო, ამაყად უჭირავთ ხელში ტყვარჩელელ მეშახტეებს.

ტრესტის, მისი შახტებისა და საწარმოების მიერ მოპოვებული წარმატებანი გაპირობებულია წარმოების ასობით მოწინავის — ქვანახშირის ოსტატების, სტახანოველების, დამკვრელების მაღალნაყოფიერი, თავდადებული შრომით. მოწინავე მუშათა რიგები სისტემატურად იზრდება. მიმდინარე წლის 1 აგვისტოსათვის ტყვარჩელის შახტებში მუშაობდა ქვანახშირის 19 ოსტატი, 722 სტახანოველი, 666 დამკვრელი. ამავე დროს სისტემატურად კლებულობს იმ მუშების რიცხვი, რომლებიც გამომუშავების ნორმებს ვერ ასრულებენ. მაღალნაყოფიერად მუშაობენ ცნობილი სტახანოველი გამყვანი ამხ. ნ. ხაჭიპერაძე, ლავის დამჯგენი კომუნისტი ამხ. ქიტნიკოვი, კომბაინ „დონბასის" მემანქანე ამხ. პოპოვი, საყელავი მანქანის მემანქანეები ამხ. ვოლკოვი, ბაკუროვი, მეშახტეები ამხ. პაპასკუა, ჟიბა, კორძაია, კაპანაძე და ათობით სხვა სტახანოველი.

ქვანახშირის ამოღების გადიდებას და მთლიანად ყველა საწარმოო სამუშაოს გაუმჯობესებას დიდად შეუწყო ხელი ახალი ტექნიკის დანერგვამ და ციკლურმა გრაფიკმა. სპეციალურ სემინარებზე მუშები და უბნების ხელმძღვანელები გულდასმით გაეცნენ ციკლური გრაფიკის მეთოდის არსს, მის უპირატესობას.

სტალინის სახელობის შახტში ციკლური გრაფიკით მუშაობაზე პირველი ორი ლავი გადაყვანილ იქნა გასული წლის ივლისიდან, ხოლო ერთი ლავი ახიბლარის შახტში—1 აგვისტოდან. იმავე წლის ნოემბრისათვის სტალინის სახელობის შახტში ყველა ლავი გადაყვანილი იყო ციკლური გრაფიკით მუშაობაზე და ამ დროიდან დღემდე აღნიშნული შახტის ყველა საექსპლოატაციო უბანი ციკლური გრაფიკით მუშაობს.

დიდხანს ვერ მოვაგვარეთ ციკლური გრაფიკით მუშაობა ბერიას სახელობის შახტში, და მხოლოდ მიმდინარე წლის ივლისში შევძელით ციკლურ გრაფიკზე გადაგვეყვანა ორი ლავი. ამ ლავების მუშაობას მუდმივ კონტროლს უწევს პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტი. უბნების გამსხვილებისა და ციკლურობის გრაფიკის დანერგვისათვის განხორციელებული ღონისძიებების შედეგად როგორც ტრესტმა, ისე შახტებმა მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს.

მექანიზაციის მხრივ მოწინავეა სტალინის სახელობის შახტის მე-9 უბანი, რომელიც აღჭურვილია სამთო კომბაინ „დონბასით" და მუშაობს ციკლური გრაფიკით. თუ გასული წლის ივნისში კომბაინის დატვირთვა საშუალოდ თვეში 5.700 ტონა ქვანახშირს უდრიდა, მიმდინარე წელს მისი წარმადობა აყვანილია 8.000 ტონამდე.

დღითიდღე უმჯობესდება მეშახტეთა კეთილდღეობა, იზრდება მათი გამომუშავება. გამყვანი ხაჭიპერაძე, რომელმაც ნახევარი წლის გეგმა 228 პროცენტით შეასრულა, საშუალოდ თვეში 4.098 მანეთს ღებულობს. 2.150-დან 4.200 მანეთამდე გამომუშავება აქვთ მეშახტეებს ამხ. კაპანაძეს, სერგიენკოს, ვოლკოვს, პოპოვს, გიორგაძეს, ტაბატაძეს, ნემსაძეს, სუბელიანს და სხვებს.

ტრესტის, შახტებისა და საწარმოების კოლექტივებმა, რომლებიც მეშახტის დღისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი, იკისრეს ვადამდე შეესრულებინათ ქვანახშირის ამოღების რვა თვის გეგმები. ნაკისრი ვალდებულებანი სასახელოდ სრულდება. მთლიანად ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა ქვანახშირის ამოღების 8 თვის გეგმა 15 აგვისტოსათვის შეასრულა.

ყველა ამ წარმატების მიუხედავად, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მუშაობაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებები, გამოუყენებელია საკმაოდ ბევრი რეზერვი. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ თვეებში თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა საბაგირო გზის მუშაობა, იგი მთლიანად მაინც ვერ უზრუნველყოფს შახტებში ამოღებული ქვანახშირის გადაზიდვას. დაგვიანებით ინერგება შახტებში რაციონალიზატორული ღონისძიებანი. მთლიანად ტრესტისა და ცალკეული შახტების მიერ ქვანახშირის ამოღების თვიური გეგმების გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად, აღმოფხვრილი არ არის ცალკეული უბნების ჩამორჩენა. მაგალითად, ბერიას სახელობის შახტში ივლისში ჩამორჩენილი იყო ორი უბანი.

ყველა ამ ნაკლის დროზე აღმოფხვრა, ყველა შახტსა და უბანში რიტმული მუშაობის უზრუნველყოფა ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა.

უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობით შეხვდნენ ტყვარჩელელი მეშახტეები ცნობას მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. ყრილობის აღსანიშნავად მეშახტეებმა გადაწყვიტეს კიდევ უფრო გააძლიერონ მუშაობის ტემპი, მეტი ენერგიით იბრძოლონ ახალი ხუთწლედის დირექტივების პროექტში მეშახტეების და მთლიანად საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გასახორციელებლად, მეტი ქვანახშირის მოსაპოვებლად.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით ტყვარჩელელი მეშახტეები წარმატებით შეასრულებენ მშობლიური კომუნისტური პარტიის, ხალხთა გენიალური ბელადისა და მასწავლებლის, საბჭოთა მეშახტეების საუკეთესო მეგობრის, დიდი სტალინის ყველა დავალებას.

ა. ლაგაზუა,

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მმართველი, მესამე რანგის სამთო გენერალური დირექტორი.

სამთო მანქანები გეგმის გადამეტებით

ქუთაისი. (საქ. კორ.). მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, ყველა ჩვენი გამარჯვების შემოქმედის—დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით შეხვდა ქუთაისის სამთო მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ.

ქარხნის საამქროებში ყოველი დღე ახალი აღმავლობით აღინიშნება. სტახანოველები კ. სახელაშვილი, ა. ბარამიძე, ვ. ლევიძე, ბ. ყუფარაძე, მ. ნევზოროვი, მ. რუდაია და სხვები ყოველდღიურ გეგმას 200-300 პროცენტით ასრულებენ. საწარმოო კოლექტივი ღირსეული მაჩვენებლებით შეხვდა მეშახტის დღეს: 8 თვის გეგმა 28 აგვისტოსათვის შესრულდა და ჩვენი ქვეყნის მეშახტეებს მიაწოდა მაღალხარისხოვანი ტრანსპორტიორები, საჰაერო-საბაგირო ვაგონები, ლითონკონსტრუქციები და სხვა საშახტო მოწყობილობა. 29 და 30 აგვისტოს მანქანათმშენებლები სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და დამატებით დაამზადეს ასი ათასზე მეტი მანეთის პროდუქცია.

ტყვარჩელის მოწინავე ადამიანები (მარცხნიდან მარჯვნივ): საპატიო მეშახტე, გამყვანი ნ. ხაჭიპერაძე, ქვანახშირის ამწმენდი ი. ოტმენნი, მებიგე ი. ცვიჟბა, საყელავი მანქანის მემანქანე ლ. ტყებუჩავა, ქვანახშირის ოსტატი, საყელავი მანქანის მემანქანე ი. ბაკუროვი, უბნის უფროსი ნ. გუჯუშვილი, სამთო ელექტრომავლის მემანქანე ა. ქუთათელაძე, საპატიო მეშახტე, ლავის დამჯგენი ვ. ქიტნიკოვი. ფოტო ვ. გინზბურგისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბონის სამხედრო პაქტის წინააღმდეგ. გერმანიის პრობლემის მშვიდობიანად გადაჭრისათვის

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტასთან დაკავშირებით

ბერლინი, 29 აგვისტო. (საკდესი). ადნ-ის სააგენტო გადმოგვცემს:

საბჭოთა მთავრობის 1952 წლის 23 აგვისტოს ნოტასთან დაკავშირებით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ შემდეგი განცხადება გააკეთა:

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო მიესალმება საბჭოთა მთავრობის 1952 წლის 23 აგვისტოს ახალ ნოტას, რომელიც გვიჩვენებს საზავო ხელშეკრულების დადებისა და გერმანიის გაერთიანების ერთადერთ რეალურ გზას.

ყველა მშვიდობისმოყვარულად და პატრიოტულად განწყობილი გერმანელი აღიარებს, რომ ბონის სეპარატული ხელშეკრულება წარმოადგენს, როგორც ეს ცხადად ნათქვამია საბჭოთა მთავრობის ნოტაში, აშკარა სამხედრო კავშირს, დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ დასავლეთ გერმანიის ეროვნული და სოციალური დამონების იარაღს. საბჭოთა მთავრობა თავის ნოტაში სრული უფლებით ადასტურებს, რომ დასავლეთის სახელმწიფოები თავს არიდებენ ოთხი დიდი სახელმწიფოს პირდაპირ მოლაპარაკებას და აჭიანურებენ მას აშკარა ხრიკებით, რათა თავიანთთვის შეინარჩუნონ პოზიციები დასავლეთ გერმანიაში.

გერმანელი ხალხი სავსებით და მთლიანად ეთანხმება საბჭოთა მთავრობის აზრს ბონის ხელშეკრულებათა ანტიგერმანული ხასიათის შესახებ.

გერმანელი ხალხი მოითხოვს, რომ ომის დამთავრების შვიდნახევარი წლის შემდეგ დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან. იგი მოითხოვს სრულიად გერმანიის დემოკრატიული მთავრობის შედგენას, ხოლო ამასთან დაკავშირებით აღმოსავლეთისა და დასავლეთში მცხოვრები გერმანელების შეთანხმებას სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობის საკითხზე.

გერმანელი ხალხი ფიქრობს, რომ სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობის წინაპირობების შემოწმება თვით გერმანელების უფლება და საქმეა.

გერმანელი ხალხი მოითხოვს, რომ გერმანიის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის აღდგენის მიზნით ოთხმა დიდმა სახელმწიფომ დანიშნოს, ბოლოს, მთელი საოკუპაციო ჯარების გაყვანის ვადა. ამიტომ იგი უერთდება საბჭოთა მთავრობის წინადადებას, რომ უახლოეს მომავალში, სულ გვიან ოქტომბერში, მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს თათბირი, რომელზეც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წარმომადგენელთა მონაწილეობით განხილულ იქნება და გადაწყდება გერმანელი ხალხისათვის ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები. გერმანელი ხალხი მიესალმება საბჭოთა მთავრობის წინადადებას—ამავე დროს განხილულ იქნას საზავო ხელშეკრულების დადების, სრულიად გერმანიის მთავრობის შექმნისა და სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობის საკითხები, რადგან გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ ასეთი გზით.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო აცხადებს, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ მოთხოვნილი ეს თათბირი დაჩქარდება, თუ აღმოსავლეთსა და დასავლეთში მცხოვრები გერმანელები, რომლებიც ერთსულოვნად მოითხოვენ ამ თათბირის დაუყოვნებლივ მოწვევას, მტკიცე ერთობლივი მოქმედებით ხელს შეუშლიან ბონის ფედერალურ პარლამენტში გერმანელი ხალხისათვის დამღუპველი სამხედრო საერთო ხელშეკრულების რატიფიკაციას.

ამ მრისხანე ჟამს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო მოუწოდებს ყველა გერმანელ პატრიოტს გაერთიანდნენ და იმოქმედონ:

სრულიად გერმანიის შეთანხმებისათვის, რათა რაც შეიძლება მალე დაიდოს საზავო ხელშეკრულება და აღდგენილ იქნას გერმანიის ერთიანობა!

ბონის სამხედრო პაქტის წინააღმდეგ, ოთხი სახელმწიფოს დაუყოვნებლივი მოლაპარაკებისათვის, რათა მშვიდობიანად გადაიჭრას გერმანიის პრობლემა!

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

სლოვაკიის ეროვნული აჯანყების მე-8 წლისთავისადმი მიძღვნილი სლოვაკიის ეროვნული საბჭოს საზეიმო სხდომა

პრაღა, 29 აგვისტო. (საკდესი). დღეს ბრატისლავაში გაიმართა სლოვაკიის ეროვნული საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა სლოვაკიის ეროვნული აჯანყების მერვე წლისთავს. სხდომას დაესწრო ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაცია პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ვილემ შიროკის მეთაურობით.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ვილემ შიროკიმ. მას სიტყვას ხშირად აწყვეტინებდნენ ტაშით.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია გაუმართეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის კლემენტ გოტვალდისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პატივსაცემად, გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის პატივსაცემად და საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხების პატივსაცემად.

თავისი გამოსვლა შიროკიმ დაამთავრა სიტყვებით: გაუმარჯოს ჩვენს ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ჩვენს ძვირფას და უსაზღვროდ საყვარელ პრეზიდენტს კლემენტ გოტვალდს!

გაუმარჯოს ძლევამოსილ და უძლეველ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს—ჩვენი სამშობლოს განმათავისუფლებელს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს და მასწავლებელს, ჩვენი ხალხების დიდ მეგობარს, ყველა ჩვენგანისათვის საყვარელ ამხანაგ სტალინს!

საფრანგეთში დევნიან დემოკრატიულ პრესას

პარიზი, 30 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „მონდის" ცნობის თანახმად, ტულუზის პროკურორმა სასამართლო დევნა აღძრა დემოკრატიული გაზეთის „პატრიოტ დე ტულუზის" წინააღმდეგ „სახელმწიფოს მეთაურის პიროვნების შეურაცხყოფისათვის".

გაზეთის დევნის საბაბი გახდა მის მიერ ამას წინათ მშვიდობისათვის ბრძოლის გმირის ანრი მარტენის დასაცავად გამოქვეყნებული სტატია.

ეიზენჰაუერი სალაშქროდ ემზადება...



ახალი მამლაყინწა ძველ ქანდარაზე

ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

კ ო რ ე ი ს ა მ ბ ე ბ ი

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 29 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 29 აგვისტოს გამოაცხადა, რომ ფრონტებზე სახალხო არმიის ჯარები ჩინელ სახალხო მოხალისეებთან თანამოქმედებით განაგრძობდნენ, თავდაცვით ბრძოლებს.

ამერიკელ აგრესორთა ახალი მხეცობა კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეთა მიმართ კუნძულ კოჯედოზე

ლონდონი, 29 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს სეულელი კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, 26 და 27 აგვისტოს კუნძულ კოჯედოზე ამერიკელმა მოდარაჯეებმა დაჭრეს 24 სამხედრო ტყვე.

ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული პარტიის წინასაარჩევნო კამპანია

ნიუ-იორკი, 29 აგვისტო. (საკდესი). პრესის ცნობების თანახმად, რომლებიც მიღებულია ლოს-ანჯელოსიდან, პროგრესული პარტიის კანდიდატები ჰოლინენი და ბასი და პროგრესული პარტიის ეროვნული კომიტეტის მეორე თავმჯდომარე პოლ რობსონი გამოვიდნენ „კოლვეოს" სტადიონზე გამართულ მასობრივ მიტინგზე, რომელსაც 9 ათასზე მეტი კაცი ესწრებოდა.

ამ მიტინგზე ჰოლინენმა კვლავ განაცხადა, რომ მშვიდობა და კორეის ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტა 1952 წლის წინასაარჩევნო კამპანიის უმნიშვნელოვანესი საკითხებია.

ჰოლინენმა აღნიშნა, რომ მას ეიზენჰაუერისა და სტივენსონისაგან ჯერაც არ მიუღია პასუხი რამდენიმე დღის წინათ გაგზავნილ თავის წერილზე, რომელშიც მოუწოდებს ამ კანდიდატებს მასთან ერთად მოითხოვონ, რომ ტრუმენმა მიიღოს ღონისძიებანი კორეაში ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტისათვის. მან აგრეთვე განაცხადა, რომ „ამერიკელი ხალხი სიხარულითა და კმაყოფილებით მიესალმება ხოცვა-ჟლეტის დაუყოვნებლივ შეწყვეტას".

პროგრესული პარტია კვლავ იბრძვის საარჩევნო ბიულეტენებში თავისი კანდიდატების შეყვანისათვის. პროგრესული პარტიის ეროვნული კომიტეტის მდივნის ბოლდუინის განცხადებით, ოქტომბერში პარტიას უფლება ექნება დაასახელოს თავისი კანდიდატები 35 შტატში, მათ შორის ყველა დიდ სამრეწველო შტატში, ოჰაიოს გარდა. როგორც ბოლდუინმა განაცხადა, აშკარა ტერორისა და „სრულიად აუტანელი" საარჩევნო კანონების შედეგად პროგრესული პარტია ალბათ ვერ შეძლებს შეიტანოს თავისი კანდიდატების სახელები კენჭისყრის ბიულეტენებში სამხრეთის ბევრ შტატში.

მაგრამ, განაგრძო ბოლდუინმა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პარტია არ განაგრძობს მშვიდობისათვის ბრძოლის კამპანიას ამ შტატებში.

რიჯუეის ჩასვლის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო დემონსტრაციის მონაწილეთა დევნა ინგლისში

ლონდონი, 30 აგვისტო. (საკდესი). 28 აგვისტოს ლონდონის საპოლიციო სასამართლომ ახალგაზრდა ეკონომისტს ტომას დრინკოუტერს მიუსაჯა 5 გირვანქა სტერლინგი ჯარიმის გადახდა იმისათვის, რომ მას ბრალად დასდეს „შეურაცხმყოფელი საქციელი" ამერიკის საელჩოს შენობასთან ლონდონში, აგრეთვე 3 გინეის სასამართლო ხარჯების გადახდა.

დრინკოუტერის საქმე გარჩეულ იქნა ამერიკელი გენერლის რიჯუეის ლონდონში ჩამოსვლის წინააღმდეგ გამართული დემონსტრაციის სხვა მონაწილეთა საქმესთან ერთად.

დრინკოუტერი არმიაში მსახურობდა ომის დროს ლეიტენანტის ხარისხით და დაიჭრა. სასამართლოში მან განაცხადა: „მე დეპუტაციის შემადგენლობასთან ერთად მივდიოდი გენერალ რიჯუეისთან იმისათვის, რომ განმეცხადებინა მისთვის: „სწორი არ არის, რომ ჩვენს ქვეყანაში ამერიკელთა ესოდენ დიდი ჯარი იყოს. სწორი არ არის, რომ ჩვენი არმია ამერიკელი გენერლის სარდლობას ექვემდებარებოდეს, და სწორი არ არის ახლა დასავლეთ გერმანიის შეიარაღება".

მანოლის გლეზოსსა და სხვა ბერძენ პატრიოტებს განაჩენი გამოუტანეს

ათენი, 28 აგვისტო. (საკდესი). 27 აგვისტოს ათენის სარევიზიო სამხედრო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლის თანახმად გლეზოსს, ცერეპასს და დამიანიდისს მიესაჯათ მუდმივი პატიმრობა, კარკოსს—20 წლით, პროველენგიოსსა და დიამანტოპულოსს—თითოეულს 12 წლით, სპაროსს—11 წლით, სოტრიდისს—9 წლით პატიმრობა.

მსოფლიო პირველობა ფრენბურთში

საბჭოთა კავშირის ვაჟთა და ქალთა გუნდები მსოფლიოს ჩემპიონები არიან ფრენბურთში

დამთავრდა შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე ფრენბურთში. 29 აგვისტოს მოსკოვში „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე მოეწყო უკანასკნელი ოთხი შეხვედრა.

უდიდეს ინტერესს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ვაჟთა გუნდების შეხვედრა. არც ერთი ეს გუნდი წინა შეჯიბრებებში არ დამარცხებულა. საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს სამი პარტია და კვლავ გამოიჩინეს თავი როგორც მსოფლიოს უძლიერესმა ფრენბურთელებმა. დაიგროვა რა საფინალო შეჯიბრებაში 5 ქულა ხუთ შესაძლებელში, სსრ კავშირის ვაჟთა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა და ხელმეორედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება.

ფრენბურთში მსოფლიოს პირველობაზე გათამაშებაში დამთავრებული შეჯიბრების შედეგად ქალთა შორის სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენმა ქალებმა დაიკავეს შემდეგი ადგილები: პირველი ადგილი და მსოფლიოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა საბჭოთა კავშირის გუნდმა, მეორე ადგილი—პოლონეთის გუნდმა, მესამე—ჩეხოსლოვაკიის, მეოთხე — ბულგარეთის, მეხუთე — რუმინეთის, მეექვსე—უნგრეთის, მეშვიდე—საფრანგეთის და მერვე—ინდოეთის გუნდმა.

ვაჟთა გუნდებს შორის ადგილები ჩემპიონატში შემდეგნაირად განაწილდა: პირველი ადგილი და მსოფლიოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა საბჭოთა კავშირის ვაჟთა გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის გუნდი, მესამეზე — ბულგარეთის, მეოთხეზე—რუმინეთის, მეხუთეზე—უნგრეთის, მეექვსეზე—საფრანგეთის, მეშვიდეზე—პოლონეთის, მერვეზე—ინდოეთის, მეცხრეზე — ლიბანის, მეათეზე—ისრაელის სახელმწიფოს და მეთერთმეტეზე — ფინეთის გუნდი.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გაიმართა მონაწილეთა საზეიმო პარადი და გამარჯვებულთათვის ჯილდოების გადაცემა.

X საჭადრაკო ოლიმპიადაზე

ჰელსინკი, 29 აგვისტო. (საკდესი). გადადებული პარტიების გათამაშების შედეგად უკანასკნელი ტურის წინ გამოირკვა გუნდების მდგომარეობა სატურნირო ცხრილში.

ტეშნერ-კერესის პარტია ყაიმით დამთავრდა. ამრიგად საბჭოთა კავშირის გუნდმა მატჩი მოუგო დასავლეთ გერმანიის გუნდს ანგარიშით $3\frac{1}{2}:\frac{1}{2}$. არგენტინის გუნდმა ასეთივე შედეგით გაიმარჯვა შვეციის გუნდზე. ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი დამარცხდა შვეციის გუნდთან ანგარიშით $1\frac{1}{2}:2\frac{1}{2}$. იუგოსლავიის გუნდმა მოუგო ჩეხოსლოვაკიის გუნდს და დააგროვა $2\frac{1}{2}$ ქულა.

უკანასკნელი ტურის წინ შემდეგი მდგომარეობაა: სსრ კავშირს აქვს 18 ქულა, არგენტინას და იუგოსლავიას—$16\frac{1}{2}$ ქულა თვითეულს, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიას—15 თვითეულს, ამერიკის შეერთებულ შტატებს—17 (გუნდმა შეჯიბრება დაამთავრა), შვეციას—12, დასავლეთ გერმანიას—$9\frac{1}{2}$ და ფინეთს—$8\frac{1}{2}$ ქულა.

კურორტ წყალტუბოში აშენდა და მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს 250-საწოლიანი სანატორიუმი. **სურათზე**: მეშახტეთა ახლადაგებული სანატორიუმი.

ფოტო ბ. მაღლაფერიძისა.

უხეში საკვების დამზადება და სილოსის ჩადება

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 25 აგვისტოს ცნობებით რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დამზადებულია 414.356 ტონა უხეში საკვები, გეგმის 23 პროცენტი. მათ შორის თივა დამზადებულია 290.490 ტონა, გეგმის 64,6 პროცენტი.

თბილისის ოლქში უხეში საკვების დამზადების გეგმა შესრულებულია 32,5 პროცენტით, მათ შორის თივისა—72,6 პროცენტით, ქუთაისის ოლქში უხეში საკვებისა—7,9 პროცენტით, მათ შორის თივისა—48 პროცენტით; აფხაზეთის ასსრ-ში უხეში საკვებისა—2 პროცენტით, მათ შორის თივისა—22,4 პროცენტით; აჭარის ასსრ-ში უხეში საკვებისა—15,6 პროცენტით, თივისა — 35,9 პროცენტით; სამხრეთ ოსეთში უხეში საკვებისა—20,6 პროცენტით, თივისა — 49,1 პროცენტით.

ამავე რიცხვისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დასილოსებულია 125.752 ტონა საკვები, გეგმის 38,1 პროცენტი, თბილისის ოლქში დასილოსებულია 108.539 ტონა, გეგმის 51,9 პროცენტი; ქუთაისის ოლქში საკვების დასილოსების გეგმა შესრულებულია 18,7 პროცენტით, აფხაზეთის ასსრ—1 პროცენტით, აჭარის ასსრ —12,3 პროცენტით, სამხრეთ ოსეთში კი 1,2 პროცენტით.

დღეს გაზეთ «ზარია ვოსტოკაში»

პირველი გვერდი: მოწინავე — საბჭოთა მეშახტეები. მეორე მოწინავე — ახალი სასწავლო წელი.

საერთო სათაურით „იზრდება ხალხთა მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობა"—წერილები: დაზგები გეგმის გადამეტებით. საქართველო—უკრაინა.

მეორე გვერდი: პარტიული ცხოვრება—კომუნისტები იხილავენ საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მასალებს.

პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე (ა. ა. ჟდანოვის გარდაცვალებიდან 4 წლისთავის გამო).

ჩვენი მძლავრი სამშობლო. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში.

მესამე გვერდი: საერთო სათაურით „ქვანახშირი — მრეწველობის პური". წერილები: ა. ლაბახუა — მეშახტეთა ღირსების საქმე. პ. კრასინსკი — საპატიო მეშახტე ნიკოლოზ ხაჰიპერაძე. გ. ჩანკვეტაძე — წლიური ნორმა შესრულებულია. გ. ძიძიგური — აღმავლობის გზაზე. ზ. მერკვილაძე — საჩუქარი მაღაროელებს. ვ. გოგუა — ვადაზე ადრე შევასრულოთ წლიური გეგმა.

მეოთხე გვერდი: დღიური — ს. დერბინი — რასიულ მხეცობათა წინააღმდეგ. უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა. ნატურალისტის ჩანაწერები. სადღეისო თემაზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პირველ კურსზე ჩარიცხულ პირთა სია

სამკურნალო ფაკულტეტი.

(ქართული სექტორი)

ო. ი. აზიკური, ზ. ი. ანთაძე, თ. გ. ანიკაშვილი, კ. დ. ანუა, თ. ს. არევაძე, დ. გ. ბარათაშვილი, გ. ე. ბარაბაძე, ლ. პ. ბაქრაძე, ც. პ. ბაქრაძე, ე. გ. ბაზადუროვი, ლ. ვ. ბერულავა, ზ. გ. ბიბილეიშვილი, ნ. ი. ბუჩუკური, ჯ. გ. გაბიჩვაძე, ა. მ. გაგუა, ლ. ტ. გარუჩავა, გ. ლ. გეგეშიძე, ჯ. ლ. გედენიძე, ა. ს. გელაშვილი, ც. შ. გელიკაშვილი, დ. კ. გვიშიანი, ბ. ე. გაგუა, მ. ა. გიგაური, ლ. ვ. გიგინეიშვილი, ნ. ს. გობრონიძე, მ. ა. გოგლიძე, ე. დ. გოგლაძე, ქ. ა. გოგოლაური, ო. ვ. გოგუაძე, მ. ვ. გუნჯუა, ნ. გ. გურგენიძე, ლ. ბ. დოლიძე, ა. ვ. ექვთიმიშვილი, გ. გ. ვაშაკიძე, ლ. ს. ვარძელაშვილი, ი. ი. ზვიადაძე, ა. ა. თაღორაშვილი, ც. გ. თოფურია, მ. ი. თუთარაული, ვ. ვ. იაშვილი შ. ა. ინაძე, ე. ს. ირემაძე, დ. ს. კაკაბაძე, თ. ო. კაკუბერი, გ. ვ. კაპანაძე, ჯ. ა. კასანზადე-შაბანოვი, გ. კ. კაციტაძე, გ. ვ. კაციტაძე, ნ. გ. კაჭარავა, ლ. დ. კაჭკაჭიშვილი, ც. ი. კერესელიძე, თ. პ. კერესელიძე, ვ. ვ. კურტანიძე, მ. ვ. კუხალეიშვილი, მ. დ. ლაღიძე, დ. ვ. ლობჟანიძე, ო. შ. ლორთქიფანიძე, რ. გ. ლუარსაბოვი, ა. ფ. მამარდაშვილი, ბ. ნ. მაისურაძე, გ. ს. მაჩაიძე, ლ. გ. მაჭავარიანი, ნ. პ. მახათაძე, ლ. ი. მენთეშაშვილი, ნ. დ. მესტიაშვილი, დ. ნ. მესხი, რ. ვ. მესხი, ლ. ს. მეძმარიაშვილი, მ. ნ. მესხორაძე, დ. ი. მირზაშვილი, მ. გ. მიქამავაიძე, ზ. ვ. მშვიდობაძე, ა. ა. ნადარეიშვილი, გ. კ. ნადარეიშვილი, ვ. ა. ნაჭყებია, მ. ტ. ნიკოლეიშვილი, ლ. უ. ნიკოლაიშვილი, რ. კ. ნინუა, ი. გ. ნიორაძე, ზ. შ. ნიჟარაძე, კ. გ. რობაქიძე, ც. ი. რობაქიძე, რ. ვ. როგავა, ვ. მ. საკანდელიძე, გ. მ. სარალიძე, მ. ვ. სიხარულიძე, ქ. ს. სოფრომაძე, თ. ს. სვანიძე, ნ. გ. სუხიტაშვილი, მ. ა. ტაბატაძე, ც. გ. უგულავა, ნ. ე. ფაღავა, ნ. ა. ქადაგიძე, ლ. ი. ქავთარაძე, ლ. ა. ქავთარაძე, ვ. გ. ქავზინაძე, გ. თ. ქაჯაია, ლ. ა. ქერქაძე, ს. კ. ქილიფთარი, ა. ი. ქოვლოევი, ც. მ. ყორღანაშვილი, მ. ვ. შანიძე, ი. კ. შარაშიძე, ი. კ. შენგელია, ა. ა. ჩართოლანი, მ. მ. ჩახვაშვილი, ზ. გ. ჩიქოვანი, ნ. ნ. ჩხატარაშვილი, ა. ნ. ცინცაძე, ვ. ვ. ცინცაძე, მ. ი. ცირილლაძე, გ. ი. ცქვიტაია, ლ. გ. ძაგნიძე, უ. გ. წიკლაური, ლ. კ. წულეისკირი, მ. ი. წუწუნავა, ა. გ. ჭაბუკიანი, ნ. ა. ხალვაში, ი. კ. ხარებავა, ბ. ნ. ხერგიანი, ს. შ. ხუნდაძე, ნ. პ. ჯანაშვილი, რ. ი. ჯაფარიძე, ა. ე. ჯინჭარაძე, ლ. ვ. ჯიქია.

(რუსული სექტორი)

ნ. შ. აბაშ, ა. კ. აპრიამოვი, ნ. კ. ბარიგიანი, ლ. ა. ბალაბანოვა, დ. ი. ბუსურაშვილი, მ. მ. ბუთაევა, ლ. ს. ვალიევა, ლ. გ. ვართანოვი, ტ. მ. გამკაძე, ც. კ. დელბა, ზ. ა. ჯიოევა, ლ. მ. დოლჟენკო, ი. ბ. კასაბიან-ბეჟანიშვილი, ვ. კ. მაკაროვა, რ. ვ. ნარსია, ლ. დ. ნასარიძე, მ. კ. ოგანოვი, ნ. ა. პაპუნიანი, რ. ი. ფარსადანოვი, დ. კ. რუხაძე, ა. გ. სავიკ, ფ. გ. სანაკოევა, გ. ვ. ცეკვავა, ლ. ა. წერეთელი, ლ. ვ. შიბკი.

პედიატრიული ფაკულტეტი.

ნ. გ. ათამოვი, ლ. ვ. ამირანიძე, ლ. ი. არჯევანიშვილი, ც. თ. ბარგანჯია, გ. ა. ბოჭორიშვილი, ქ. ა. ბურაკოვი, გ. მ. გაბადაძე, ლ. მ. გაგუნაშვილი, ი. დ. გამგებელი, ე. ა. გელაშვილი, ც. ს. გოგავა, ქ. კ. გოგიაშვილი, მ. ვ. გრძელიშვილი, ლ. ნ. გუნია, ნ. ს. დათაშვილი, ნ. ბ. დიასამიძე, ლ. ა. ელიზბარაშვილი, რ. ხ. ზაქარიაძე, ლ. ა. ზვიადაძე, ლ. რ. ზუბიაშვილი, ნ. ლ. თათრიშვილი, მ. გ. კაკუშაძე, ა. მ. კოკოჩაშვილი, ც. გ. კოხრეიძე, ს. რ. კულუმბეგოვი, ლ. ა. ლეკიშვილი, ნ. შ. ლეჟავა, თ. დ. მარინაშვილი, დ. ვ. მახათაძე, ლ. პ. მებუკე, ვ. ა. მურმანიძე, ლ. გ. ნიორაძე, ნ. გ. ონიანი, ლ. რ. პარკაია, ნ. ს. ქიქავაძე, რ. ა. სუპატაშვილი, ე. დ. ტოგონიძე, ჯ. ვ. ფერაძე, ს. ს. ფულარიანი, ნ. შ. ქარცივაძე, გ. შ. ღლონტი, მ. ი. ყაითმაზოვი, თ. პ. შეროზია, ზ. ვ. ციციშვილი, ზ. გ. ჩილაჩავა, მ. ა. ჩოხელი, ნ. ს. ჩხარტიშვილი, ნ. ს. ჰედია, ლ. ს. ჰყონია, ვ. გ. ყანჩაველი.

(დასასრული იქნება).

რედაქტორი გ. მერკვილაძე

საქართველოს რადიოგადაცემათა 1 სექტემბრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 06.25 — ჩაიკოვსკის სლავური მარში; 07.30 — მანევიჩის კანტატა „მშვიდობისათვის"; 09.20—ქართული ხალხური სიმღერები; 17.15—კამერული მუსიკის კონცერტი; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის; 18.00—არენსკის საფორტეპიანო კონცერტი; 19.20 — ნაპრავნიკის ოპერა „დუბროვსკის" მეორე მოქმედება; 19.45 — საუბარი „პირველი კომუნისტური შაბათობიდან სტახანოვურ მოძრაობამდე".

რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით — სკრიაბინის პრელუდიები და ეტიუდები; 20.45 — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტის ტატიანა მახარაძის კონცერტი; 21.00—საუბარი; 21.20 — კონცერტი; 23.00 — ლიტერატურული გადაცემა ციკლიდან „მოწინავე ადამიანები": ჩაის უხვი მოსავლის ოსტატი; 23.20 — კონცერტი; 00.05 — პოპური შტრაუსის ოპერეტა „ბოშათა ბარონიდან".

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი აგრძელებს განცხადებების მიღებას კინოსამსახიობო განყოფილებაზე. განცხადებები მიიღება 8 სექტემბრამდე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1952-53 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე: პათოფიზიოლოგია — 1 ადგილი, მიკრობიოლოგია — 1, ეპიდემიოლოგია — 1, თერაპია — 1, ფტიზიატრია—1, ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებანი — 1 ადგილი. ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქენი არაუმეტეს 40 წლის ასაკისა. ასპირანტურაში ჩარიცხვის მსურველებმა განცხადება უნდა შეიტანონ დირექტორის სახელზე ა/წ. 19 სექტემბრამდე შემდეგი საბუთების თანდართვით (ორ ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, საქმიანი დახასიათება მუშაობის ადგილიდან, ცნობა სტაჟის შესახებ, ცნობა სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ, ორი ფოტოსურათი. გამოცდები იწარმოებს 20 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე შემდეგ დისციპლინებში: მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, სპეციალურ დისციპლინაში, ფიზიოლოგიაში, რუსულ ენაში და ერთ-ერთ უცხო ენაში. საბუთები მიიღება სამედიცინო ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში (მელიქიშვილის ქ. № 10).

თბილისის სამხატვრო აკადემია აცხადებს კონკურსს ხელოვნების ისტორიის კათედრის გამგის თანამდებობაზე — პროფესორი ან დოცენტი — ერთი საშტატო ერთეული. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა განცხადება უნდა შეიტანოს აკადემიის დირექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დიპლომის, სამეცნიერო წოდებისა და ხარისხის დამმოწმებელი საბუთების ასლები, დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან და მეცნიერული შრომების სია. განცხადების შეტანის უკანასკნელი ვადაა 10 სექტემბერი.

სახდაზღვევის ორგანოები აწარმოებენ სიცოცხლის დაზღვევას. ყველას შეუძლია თავი დაიზღვიოს სხვადასხვა ვადით და სხვადასხვა თანხით. დაზღვევის ხელშეკრულებათა დასადებად მიმართეთ სახდაზღვევის ინსპექციას ან გამოიძახეთ შინ დაზღვევის აგენტი.

სახდაზღვევის სამმართველო

ცოლი მაგდა, შვილები ევტროფი, სამუელ, ალექსანდრე, რძალი ანეტა შვილებით და შვილიშვილებით იუწყებიან **მ. მ. ხუხუნაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 31-VIII ს. ზედააკეთში (ლანჩხუთის რ.).

რძლები მატრონე და პ. ლორიები, შვილები ვლადიმერ, ეფროსინე, მარიამ, ანასტასია, ნინო შვილებით, სიძეები ა. გვენეტაძე, კ. შანიძე, ა. ათანასოვი ოჯახებით იუწყებიან **ელისაბედ ქაიხოსროს ასულ ლორიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-IX სოფელ ტოლებში (სამტრედიის რ.).

საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **ირა ალექსანდრეს ასულ მოწერელიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-IX ქ. ფოთში.

შვილები ვალერიან, ნინო, კონსტანტინე რძლები ქეთო, თეო, ნათელა, სიძე ავქსენტი გაბედავა ოჯახით იუწყებიან **დომენტი კონსტანტინეს-ძე ხომერიკის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-IX სოფ. მერიაში (მახარაძის რ.).

საქავჭრობის სასაწყობო მეურნეობის თანამშრომლები იუწყებიან **აგრაფინა ნიკოლოზის ასულ კალაძე-ქუნთელიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 31-VIII 4 ს. პიონერის ქ. № 18.

საქართველოს კომუნალური ბანკის თანამშრომლები იუწყებიან **მარიამ კონსტანტინეს ასულ ბენდელიანის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სოფლის მეურნეობის — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05514